აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ანგარიში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების მიერ 2018 წელს გატარებული ღონისძიებების შესახებ

2019 წელი

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია 2018 წლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისაგან მიღებული მასალების საფუძველზე. ანგარიში განსახილველად წარედგინება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

ზოგადი მიმოხილვა

2019 წლის 01 იანვრისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებულ აფხაზეთიდან იგპ-თა საერთო რაოდენობა შეადგენდა 245 168-ს, მათ შორის ქ. თბილისში – 103 637 (42,3%), სამეგრელო-ზემო სვანეთში – 89 431 (36,5%), იმერეთში – 27 204 (11,1%), ქვემო ქართლში – 9 806 (4,0%), აჭარაში – 7 083 (2,9%), სამცხე-ჯავახეთში – 2 250 (0,9%), შიდა ქართლში – 2 296 (0,9%), კახეთში – 1 240 (0,5%), მცხეთა-მთიანეთში – 934 რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში – 761 (0,3%), გურიაში – 526 (0,2%). კომპაქტურად ჩასახლებული იყო 26 485 (10,8%), ხოლო კერძო სექტორში – 218 683 (89,2%). მიმდინარე პერიოდისათვის ქვეყნის მასშტაბით კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტთა რაოდენობა შეადგენდა 631 ერთეულს.

დიაგრამა № 1: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრითი წილი განსახლების სახის მიხედვით 2019 წლის 01 იანვრისათვის



ცხრილი № 1: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით

2019წლის 01 იანვრის მდგომარეობით

	რიცხოვნობა			**პროცენტობით ჯამთან**		**არაპრივატიზებული კომპაქტ. ობიექტ. რაოდენობა**
	სულ	მათ შორის		მათ შორის		
		კერძო	კომპ.	კერძო	კომპ.	
სულ	**245168**	**218683**	**26485**	**89.2**	**10.8**	**631**
მათ შორის:						
აღმოსავლეთ საქართველოში	**120163**	**112890**	**7273**	**93.9**	**6.1**	**196**
ქ. თბილისი	103637	98134	**5503**	**94.7**	5.3	150
ქვემო ქართლი	9806	9401	**405**	**95.9**	4.1	12
შიდა ქართლი	2296	1887	**409**	**82.2**	17.8	18
მცხეთა-მთიანეთი	934	710	**224**	**76.0**	24.0	7
კახეთი	1240	1199	**41**	**96.7**	3.3	5
სამცხე-ჯავახეთი	2250	1559	**691**	**69.3**	30.7	4
დასავლეთ საქართველოში	**125005**	**105793**	**19212**	**84.6**	**15.4**	**435**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	89431	76166	**13265**	**85.2**	14.8	338
აჭარა	7083	7083	**0**	**100.0**	0.0	-
იმერეთი	27204	21394	**5810**	**78.6**	21.4	88
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	761	624	**137**	**82.0**	18.0	9
გურია	526	526	**0**	**100.0**	0.0	-

2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იგპ-თა საერთო რაოდენობა გაიზარდა 3 338 პირით (1,0%), მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოში 1 618 პირით (1,4%-ით), ხოლო დასავლეთ საქართველოში – 1 720 პირით (1,4%-ით). რეგიონების მიხედვით: ქ. თბილისში – 1 391 იგპ-ით ანუ 1,4%-ით, ქვემო ქართლში - 205 იგპ-ით ანუ 2,1%-ით, შიდა ქართლში – 42 იგპ-ით ანუ 1,9%-ით, სამეგრელო-ზემო სვანეთში 982 იგპ-ით ანუ 1,1%-ით, აჭარაში – 194 იგპ-ით ანუ 2,8%-ით, იმერეთში – 556 იგპ-ით ანუ 2,1%-ით, მცხეთა-

მთიანეთში – 20 იგპ-ით ანუ 2,2%-ით, კახეთში – 4 იგპ-ით ანუ 0,3%-ით. დევნილთა რაოდენობა შემცირდა სამცხე-ჯავახეთში – 44 იგპ-ით ანუ 1,9%-ით, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში 16 იგპ-ით ანუ 2,1%-ით.

დიაგრამა № 2: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრითი წილი განსახლების რეგიონების მიხედვით 2019 წლის 01 იანვრისათვის



დიაგრამა № 3: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა და განსახლება რეგიონების მიხედვით 2019-2018 წ.წ. 01 იანვრისათვის



2018 წელს იგპ-თა სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მისდამი დაქვემდებარებული სამინისტროებისა და უწყებების მიერ ქ. თბილისსა და რეგიონებში გატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, განხორციელდა პროგრამები. საქმიანობაში პრიორიტეტებს წარმოადგენდა:

- ორგანიზებულად ჩასახლებულ ობიექტებში საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა და რეაბილიტაცია კომპეტენციის ფარგლებში;
- სოციალური (ჯანდაცვითი და საგანმანათლებლო) პროგრამების განხორციელება;
- იგპ-თა დასაქმების ხელშეწყობა;
- იგპ-თა მოქალაქეობრივი ინტერესებისა და კანონიერი უფლებების დაცვა;
- საქართველოს რიგი უწყებების ხელშეწყობით იგპ-თათვის სხვადასხვა სახის, მათ შორის ჰუმანიტარული დახმარება;
- აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის, აგრეთვე გაყოფილ ტერიტორიაზე მცხოვრებ, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა;
- სამთავრობო და არასამთავრობო (ადგილობრივ და საერთაშორისო) ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რეგიონული წარმომადგენლობების მიერ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობით გრძელდებოდა ორგანიზებულად ჩასახლებული ობიექტების მდგომარეობის შესწავლა.

დევნილ მოსახლეობას, შესაძლებლობის ფარგლებში, დახმარება გაეწია დროებითი საცხოვრებელი ფართების რეაბილიტაციაში, მოხდა შენობა-ნაგებობების გადახურვა, ელექტრო და წყალგაყვანილობების შეკეთება, გამოსწორდა სამშენებლო ხარვეზები. დევნილი მოსახლეობის მაქსიმალურად ჩართულობის მიზნით, სისტემატურად ხდებოდა რეგიონებში ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა სახის პროექტების გაცნობის მიზნით.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ იგპ-ებს გაეწიათ სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციები და დახმარებები (დაბადების მოწმობის აღდგენა, სამუშაო სტაჟის დადგენა, პირადობის მოწმობის აღება, აგრეთვე საკუთრებაში გადაცემული ფართის პრივატიზაციასთან, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა პენსიასთან, მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა). რამდენიმე დევნილ სტუდენტს გაეწია შუამდგომლობა სწავლის (სტუდენტის სტატუსი) აღდგენის, საფასურის გადანაწილებისა და სხვა მათთვის საჭირო პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა სხვადასხვა სახის კულტურული და სპორტული ღონისძიებები, მათ შორის დასწრება თეატრებში, საჩუქრების დარიგება დევნილი ბავშვებისათვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით მოძრაობის ,,ვიზრუნოთ ერთმანეთზე" ფარგლებში აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად დაუცველ პირებს (აფხაზეთის ომის პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებსა და ვეტერანებს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს, დედ-მამით ობოლ არასრულწლოვნებს, მრავალშვილიან ოჯახებს, 90 წელს გადაცილებულებს, შშმ და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს, ომში შვილდაღუპულ დედებს) გადაეცათ საჩუქრები. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი დაჯილდოვდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ მადლობის სიგელით საქველმოქმედო მოძრაობის ,,ვიზრუნოთ ერთმანეთზე" ფარგლებში იძულებით გადაადგილებული სოციალურად დაუცველი პირების კეთილდღეობაზე ზრუნვისათვის.

გარდა ამისა, გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტსა და შპს ,,ოცნების სამყაროს" სათამაშოების მაღაზიათა ქსელს ,,ჭიტა" შორის, რომლის მიზანს წარმოადგენს დევნილთა სოცალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ამ მაღაზიათა ქსელში აფხაზეთიდან იგპ-თა დასაქმება.

შესაძლებლობის ფარგლებში მატერიალური დახმარება გაწეულ იქნა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებაშიც. მიმდინარეობდა მუშაობა იგპ-თა დასაქმებაში ხელშეწყობის კუთხით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და ესპანურ ინტეგრაციისა და სოლიდარობის ფონდს ,,FINSOL" შორის გაფორმებულ ერთობლივ მემორანდუმში გარკვეული ცვლილებების შეტანის მიზნით, ქ. მადრიდში, ,,FINSOL"-ის ოფისში, ხელი მოეწერა ახალ მემორანდუმს, რამაც შესაძლებლობა მისცა ორივე მხარეს განახორციელონ ერთობლივი ჰუმანიტარული და სოციალური პროგრამები.

2018 წლის 2 ივლისიდან 3 სექტემბრამდე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ორგანიზებულ იქნა აფხაზეთიდან დევნილი, სოციალურად დაუცველი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები 18 ბავშვის დასვენება ესპანეთის სამეფოში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 26 იანვრის №2 დადგენილების შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში შეიქმნა ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით, ერთჯერადი დახმარების გამცემი კომისიები", რომელთა უფლებამოსილებასაც

განეკუთვნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით დადგენილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის ორგანიზება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით სოციალური პროექტების დაფინანსება, სოციალური დახმარების კუთხით, გაიზარდა. კერძოდ, 2017 წელს თანხა შეადგენდა 354 375 ლარს, მატებამ შეადგინა 100 625 ლარი და 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები განისაზღვრა 455 000 ლარით.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რეგიონალურ წარმომადგენლობებს ერთჯერადი მატერიალური დახმარების მისაღებად განცხადებით მიმართა 3 928 დევნილმა ბენეფიციარმა და შესაბამისი წარმომადგენლობების კომისიების განხილვის შედეგად, დაკმაყოფილებულ იქნა 3 661 განცხადება და გაცემულ იქნა ფინანსური დახმარება, სულ 540 950 ლარის ოდენობით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების მიზნით შექმნილი შესაბამისი კომისიების მიერ, პროგრამის ფარგლებში (800 ლარი) დაფინანსდა 53 განაცხადი, ხოლო გაცემულმა თანხამ შეადგინა სულ 38 795,57 ლარი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით, იგპ-თა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებში მცირე სარემონტო სამუშაოების დაფინანსება გაიზარდა, რამაც დევნილ მოსახლეობას საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობა მისცა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა და მატერიალური დახმარების სახით 32 ოჯახზე გაიცა 20 170,0 ლარი.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების ,,აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენ კომისიებში“ შემოვიდა 825 განცხადება. აქედან 757 განცხადებაზე გაიცა დადებითი დასკვნა, უარი ეთქვა 53 განმცხადებელს, განუხილველად დატოვებულ იქნა/არ გამოცხადდა 4, ხოლო ადმინისტრაციულ წარმოებაშია 11 განცხადება.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მთავრობაში განსახილველად წარდგენილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონიპროექტები, დეპარტამენტში შემოსულ წერილებთან და პროექტებთან დაკავშირებით მომოზადებული შესაბამისი პასუხები და წინადადებები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი, კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობის მიზნით, სისტემატურად ხორციელდებოდა აფხაზეთის მოქმედი კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების სისტემატიზირებული ვერსიების შექმნა, ხოლო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სიახლეების განთავსება დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ამასთან, დევნილი მოსახლეობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა აფხაზეთის საარქივო ფონდის შევსება, საარქივო დოკუმენტების აღწერა-სისტემატიზირება დოკუმენტების შემდგომი გამოყენების მიზნით. საანგარიშო პერიოდში არქივის სამმართველოში სამოქალაქო აქტების აღდგენის საფუძველზე შემოვიდა სულ 250 მოთხოვნა, რომლებსაც გაეცა შესაბამისი პასუხი. კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხებზე 147 მოქალაქეს გაეცა ზეპირი კონსულტაცია არქივის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ამასთან, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს გაეწიათ სამართლებრივი კონსულტაციები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პიროვნების დადგენა, სტაჟის დადგენა, ქორწინების აქტის და დევნილის სტატუსის აღდგენის, საცხოვრებელი ფართის დაკანონება, აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სტატუსის, გარდაცვლილად გამოცხადებისა და სხვა იურიდიული ფაქტების დადგენა, სააქტო ჩანაწერში არსებული ხარვეზების გამოსწორება. აფხაზეთიდან იგპ-ებისათვის უფასო სამართლებრივი კონსულტაციების გაწევის მიზნით, დეპარტამენტის თანამშრომლები მივლინებულ იყვნენ ქ. ახალციხეში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. შედგა შეხვედრა აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობასთან, იგპ-თა კომპაქტურ დასახლებებში. დარიგდა საცნობარო ,,ფლაერები“ დეპარტამენტის მიერ დევნილებისათვის შეთავაზებული სამართლებრივი დახმარების გაწევის თაობაზე. გასვლითი ღონისძიებები განხორციელდა აგრეთვე აჭარაში, ზუგდიდში, სამტრედიაში, თელავში და ქ. თბილისში დევნილთა სხვადასხვა ჩასახლებაში.

საანგარიშო პერიოდში სამხედრო-სავალდებულო სამსახურში სულ გაწვეულ იქნა 199, გადავადების მოსაკრებელი (2 000 ლარი) გადაიხადა 7 წვევამდელმა.

2018 წელს ფუნქციონირებას აგრძელებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა მეწარმე სუბიექტებთან შეხვედრები, მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება პარტნიორ ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ბიზნეს გაერთიანებებთან, არასამთავრობო სექტორთან, ადგილობრივ და უცხოურ დონორებთან. საანგარიშო პერიოდში დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

- ჩერკასკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან;
- მთარგმნელობით კომპანიასთან ,,თი არ ჯი“;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტთან;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან.

მიმდინარეობდა მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან და რეგიონალურ პალატებთან, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან, რითაც პალატის წევრ მეწარმეებს შეექმნათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა ღონისძიებებსა და ბიზნესფორუმებში.

საანგარიშო პერიოდში:

- შედგა შეხვედრა მიუნხენისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრებთან, მომზადდა ინფორმაცია პალატის საქმიანობის შესახებ და პალატის სამომავლო პროექტების მოკლე მიმოხილვა ქართულ და ინგლისურ ენებზე. შეხვედრაზე განხილულ იქნა ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობები;
- ბათუმში ჩატარებულ მეწარმე ქალთა ეროვნულ ბიზნესფორუმზე წარდგენილ იყვნენ პალატაში გაწევრიანებული ქალი მეწარმეები. ფორუმი მნიშვნელოვანი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისა და ბიზნესში ქალთა ჩართულობის გაზრდისათვის;
- მიმდინარეობდა შეხვედრები და კონსულტაციები სხვადასხვა ბიზნეს ასოციაციების დაფუძნებასთან დაკავშირებით. დაფუძნდა ორი ასოციაცია – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალ ბიზნესმენთა ასოციაცია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებისა და მედიცინის მუშაკთა ასოციაცია;
- ჩატარდა ბელორუსიის ბიზნესფორუმი, სადაც შედგა ორმხრივი შეხვედრები ბელორუსიის ბიზნეს სექტორისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პალატის წევრ ბიზნესმენებს შორის;
- ქ. სტამბოლში, BSEC-CPMR შტაბ-ბინაში გაიმართა ვორქშოფი თემაზე: „პროექტის პრომოუშენი“, რომლის ორგანიზატორები იყვნენ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის მუდმივი საერთაშორისო სამდივნო (BSEC PERMIS), საზღვაო პერიფერიული რეგიონების კონფერენცია (CPMR) და ამ კონფერენციის ბალკანეთი-შავი ზღვის კომისია (BBSC). სემინარის მიზანი იყო რეგიონის ხელისუფლების როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში, ხელმისაწვდომი დაფინანსების ინსტრუმენტების შექმნასა და მის ეფექტურ მენეჯმენტში. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ;

- ქ. თბილისში შედგა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის BSEC-ის წევრი ქვეყნების შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა. შეხვედრის შემდგომ მოეწყო შეხვედრები შავი ზღვის აკვატორიის პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციებთან (კავკასიი ტურიზმის საერთაშორისო ცენტრი (ICCTI), ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ,,ელკანი", სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი);
- სასტუმრო ,,ბილტმორში" ჩატარდა ჩინეთის ბიზნესფორუმი, რომლის ფარგლებში გაიმართა ქართული პროდუქციის გამოფენა. ფორუმში აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მეწარმეებმა წარმოადგინეს თავიანთი პროდუქცია;
- ჩატარდა კრინიცას ბიზნესფორუმი, სადაც სხვა მონაწილეებთან ერთად წარმოდგენილი იყვნენ აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრი ბიზნესმენები;
- თბილისში შედგა შეხვედრა მონღოლეთისა და ჰონკონგის დელეგაციას, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და მასში გაწევრიანებულ მეწარმეთა შორის. ამ შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომდგენლებმაც;
- სასტუმრო ,,ჰოლიდეი ინში" საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია ,,დუალური პროფესიული განათლების კოორდინაცია", სადაც აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა წარსდგა პალატაში გაწევრიანებული აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მეწარმეებით;
- დაიწყო აქტიური მუშაობა მთავრობის ახალი ინიციატივის ,,ნაბიჯი უკეთესი მომავლისათვის" ფარგლებში ადმინისტრაციული გამყოფი ზოლის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი ბიზნესის წახალისების მიმართულებით. შედგა შეხვედრა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, სადაც განხილულ იქნა ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ოკუპირებული აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ. გაიმართა მსჯელობა საქართველოს მთავრობის ინიციატივის ფარგლებში აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობასთან დაახლოების შესაძლებლობების, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში ურთიერთთანამშრომლობის, კონტაქტების განახლების, მიმოსვლის და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ბიზნესურთიერთობების წახალისების საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა მუშაობა აფხაზეთიდან იგპ-მეწარმეების პალატაში გაწევრიანების მიმართულებით. დაიგეგმა და განხორციელდა შეხვედრები პალატაში გაწევრიანებულ მეწარმეთათვის პალატის საქმიანობისა და სერვისების გაცნობის მიზნით. პალატის წევრი მეწარმეები და თანამშრომლები მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა ტრენინგებში.

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ნდობის აღდგენისა და შერიგების სფეროში ინოვაციური მიდგომების შემუშავება, აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის ხელშეწყობა, გაყოფილ ტერიტორიებზე მცხოვრებ, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობა, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა ტიპის ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით ურთიერთობის, დიალოგისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა გამყოფი ხაზებით დაშორიშორებულ საზოგადოებას შორის. განსაკუთრებით საჭიროა ამ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა და საერთაშორისო და ადგილობრივი ინსტიტუციების დახმარებით მათი დამეგობრებისათვის ხელშეწყობა. ინოვაციურ პროექტებში სახალხო დიპლომატიის როლის გაძლიერება, კულტურული მემკვიდრეობის, განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკის, სპორტის და სხვა სფეროში არსებული და ახალი შესაძლებლობის გამოყენება.

კერძოდ, საანგარიშო პერიოდში:

- განხორციელდა პროგრამული პროექტი ,,შევისწავლოთ აფხაზური ენა“, რომელიც განკუთვნილი იყო დევნილთათვის, აფხაზეთსა და მის ფარგლებს გარეთ, ასევე აჭარაში მცხოვრები აფხაზებისათვის. მის მიზანს წარმოადგენდა ორ მოძმე ერს შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესება და ნდობის აღდგენა. მსურველებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ აფხაზურ ენას, კულტურას, ისტორიას, ტრადიციებს. პროექტი ითვალისწინებდა აფხაზური ენის შემსწავლელი კურსის უზრუნველყოფას სწავლების ორგანიზებისა და მეთოდოლოგიის კურსით, სასწავლო აუდიო და ანიმაციური ვიდეო დისკების შექმნას და სხვ.;
- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის მხარდაჭერითა და თანამშრომლობით არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოს „SOS ბავშვთა სოფელმა“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №2 საჯარო სკოლაში პროექტის ,,ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია“ ფარგლებში გახსნა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი (სპორტული და სათამაშო მოედნები);
- განახორციელდა პროექტი ,,ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“, რომელიც მიზნად ისახავდა კონფლიქტის შედეგად გახლეჩილ ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთობების გაძლიერებას, ეროვნული კულტურული ღირებულებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას, მონაწილეების მიერ სამომავლო თანამშრომლობის გეგმების შემუშავებას, ანალიტიკური აზროვნებისა და აქტიური მოქალაქეობის განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია ნდობის მშენებლობისათვის და კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად. პროექტის ფარგლებში მოეწყო დისკუსიები თემაზე ,,ქართულ-

აფხაზური ურთიერთობები, წარსული და მომავალი“, ფოტოგამოფენა აფხაზეთის დღევანდელობასთან დაკავშირებით, კულტურულ-საგანმანათლებლო ტური ძველ თბილისში. პროექტის მონაწილეები შეხვდნენ პატრიარქს. პროექტში მონაწილეობა მიიღო 20 ახალგაზრდამ (10 ქართველი და 10 აფხაზი);

- განხორციელდა პროგრამული პროექტი ,,სამშვიდობო რესურსები - ქართულ-აფხაზური ურთერთობები და საქართველოს ევროპული მომვალი“, რომლის მიზანი იყო ინტერკულტურული მეგობრობის გაღრმავება, არაფორმალური დიალოგისათვის პლატფორმის შექმნა და ევროპული ღირებულებების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ქართულ-აფხაზური ტრადიციული ურთიერთობების პოპულარიზაცია. პროგრამა ითვალისწინებდა სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გადმოტანას და მის დანერგვას. წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში მოეწყო ონლაინ-გამოფენა;
- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა პროგრამის „აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე პროფესორების, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში“ ფარგლებში, პროგრამული პრიორიტეტებიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მხარდაჭერისთვის მოამზადა დამატებითი პროექტი ,,მეცნიერება და რელიგია მომავლისათვის“, რომელმაც მიიღო ფინანსური მხარდაჭერა 42 000 ლარის ოდენობით. პროექტი განხორციელდა 2018 წლის 25-28 სექტემბერს რომში, საპიენსას უნივერსიტეტში და ფართო რეზონანსი გამოიწვია. პროექტის მიზანი იყო აქტიური ჩართულობა ინტერკულტურულ დიალოგში, კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, განათლების ხელშეწყობა, სხვადასხვა ქვეყნების აკადემიური წრეების წარმომადგენლებისა და ახალგაზრდების ურთიერთდაახლოება, რწმენისა და განათლების სინერგია და სამშვიდობო პლატფორმის შექმნა. პროექტის მონაწილეები იყვნენ სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდები და პროფესორები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ქართული დიასპორის წარმომადგენლები. წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:
    - სამეცნიერო კონფერენცია
    - ახალგაზრდული კონფერენცია „ახალგაზრდობა და იდენტობა“
    - ინტერკულტურული ვორქშოფი „რა გვაერთიანებს და რა გვაშორებს“
    - მასტერკლასები „ქართული ფოლკლორი“
    - გამოფენა ქართული კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში
    - გამოფენა „ქართული კალიგრაფია“
    - აფხაზეთიდან დევნილი, იტალიაში მოღვაწე ქართველი პუბლიცისტის რუსუდან ჟორჟოლიანის წიგნის პრეზენტაცია
    - პროექტის ფარგლებში შექმნილი წიგნის პრეზენტაცია

- ➢ ფილმის „სიმინდის კუნძულის“ პრეზენტაცია და დებატები.

- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის ფინანსური მხარდაჭერითა და ფონდის ,,არტექოს“ ორგანიზებით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიმართა ფრანგი ფოტოდოკუმენტალისტის ორელიენ ვილეტის გამოფენა ,,სიჩუმის რეზოლუცია - აფხაზეთი“, რომლის მიზანი იყო საერთაშორისო საზოგადოებისათვის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დღეს არსებული რეალობის, მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობის და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის ფოტო-პრეზენტაციის ფორმით მიწოდება. გამოფენა გაიმართა როგორც თბილისში, ასვე ჰაგასა და ბრიუსელში;
- განხორციელდა პროგრამული პროექტი ,,მშვიდობის ლაბორატორია“, რომლის მიზანი იყო აფხაზი და აფხაზეთიდან დევნილი მწერლების, პოეტებისა და მხატვრების ნამუშევრების პოპულარიზაცია და მათი როლის ამაღლება ნდობის აღდგენისა და შერიგების საქმეში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილმა 45 ხელოვანმა, რომლებმაც შექმნეს ნამუშევრები წიგნისათვის ,,საერთო წარსულით საერთო მომავლისაკენ“;
- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატიმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ,,ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრთან“ თანამშრომლობით განახორციელა პროექტები:
  - ➢ კვლევა - აფხაზეთიდან დევნილი საზხოგადოების პოსტტრავმული ადაპტაცია და მათი ჩართულობა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში;
  - ➢ დიასპორების ცართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში.

  პროექტი ოიცავდა ორდღიან შემეცნებით ტრენინგებს, რომელშიც 100-მდე მოსწავლე იღებდა მონაწილეობას. მათ შორის იყვნენ თბილისში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი და თბილისში არსებული დიასპორების წარმომადგენელი ახალგაზრდები.

საანგარიშო პერიოდში სსიპ „აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის“ მიერ მომზადდა და დაარქივდა სატელევიზიო მასალები. სისტემატურად შუქდებოდა დევნილთა სოციალური პრობლემები, ლეგიტიმური სტრუქტურების ყველა აქტივობა, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები და საღამოები, აფხაზეთის თემატიკასთან დაკავშირებული საქართველოში ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებები.

გარდა ამისა:

- ეთერში გავიდა სიუჟეტი ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სავალალო მდგომარეობის შესახებ;

- შეიქმნა რამდენიმე დოკუმენტური ფილმი:
  - 1993 წლის 15-16 მარტის მოვლენების შესახებ, რომლის პრეზენტაციაც შედგა კინოს სახლში;
  - ,,აფხაზეთობა“, რომელშიც მოთხრობილია 2018 წელს გამართული ტრადიციული სახალხო ზეიმი ,,აფხაზეთობა“;
  - ფილმი აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის შესახებ;
  - აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სიახლეებზე და მომავლის გეგმებზე;
  - გასული საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში ჩატარებულ ტრადიციულ ,,რუხის შეხვედრებზე“;
  - ფილმი ,,ჩემი სახლისკენ მიმავალის გზა“, რომლის ჩვენება გაიმართა თბილისში არტ-გალერეაში და ბათუმში კულტურის სახლში;
  - ,,გამარჯვების უფლების გარეშე“, რომელიც გაშვებულ იქნა საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხის ეთერში;
- განახლდა ფილმი ,,მუხაჯირები აჭარაში“, რომლის ჩვენებაც შედგა საქართველოს პარლამენტის მცირე დარბაზში;
- დოკუმენტური ფილმებისათვის მფრინავი კამერა ,,დრონის“ საშუალებით გადაღებულ იქნა ბაგრატის ტაძარი, მცხეთის ჯვარი და სვეტიცხოველი, თბილისის სამების საკათედრო ტაძარი, ქ. ქუთაისში სსიპ ,,ბიზნესინკუბატორი“.

სსიპ „აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის“ მიერ გაშუქდა:

- აფხაზეთის კულტურის დღეები ჰოლანდიაში (მიმოხილვა);
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით გამართული საერთაშორისო კონფერენცია გენოციდის საკითხებზე;
- ომის ვეტერანთა ყრილობა ფილარმონიაში;
- ომის ვეტერანთა, წარმატებული სტუდენტებისა და სპორტსმენების დაჯილდოვება;
- პროექტის ,,საერთო წარსულით მომავლისაკენ“ პრეზენტაცია თბილისის საკრებულოში;
- ქართულ-აფხაზური საღამო ბათუმის ხელოვნების ცენტრში;
- ოკუპირებულ აფხაზეთში ბავშვთა უფლებების დარღვევის განხილვა საქართველოს პარლამენტში;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით გამართული ჟურნალისტთა კონფერენცია ,,ომისა და მშვიდობის ჟურნალისტიკა“;
- სამეცნიერო კონფერენცია ,,კულტურული მემკვიდრეობა კონფლიქტურ ტერიტორიებზე“;

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული კონფერენცია ,,მათემატიკის და დამწერლობის ჩასახვისა და განვითარების შესახებ“;
- სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. კერძოდ:
    - აფხაზი მხატვრის ალექსანდრე შერვაშიძის ნახატების გამოფენა (ქ. ბათუმი);
    - აფხაზური ენის თვითმასწავლებლის ელექტრონული ვერსიის პრეზენტაცია (ქ. ბათუმი);
    - ილია ჭავჭავაძის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც გაიმართა საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში;
    - შმეცნებით-გასართობი ტრენინგები ახალგაზრდებისათვის;
    - სვეტლანა ქეცბას, დიმიტრი ჯაიანისა და ჯუმბერ ყოლბაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები;
    - ,,მამა გაბრიელის გზა - ლოცვითი მსვლელობა;
    - ჟიული შარტავას სახელობის მწვერვალის დალაშქვრა.

ცენტრის მიერ მოპოვებული ყველა სიუჟეტი იტვირთება იუთუბზე, სოციალურ ქსელსა და ვებ-გვერდზე.

სოციალური სფერო

ჯანდაცვა

2018 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აფხაზეთის მოსახლეობისათვის სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მიღმა არსებული სადიაგნოსტიკო-სამკურნალო სერვისის ცალკეული სახეების ხელმისაწვდომობის მიზნით, ბიუჯეტის ფარგლებში, ახორციელებდა 4 მიზნობრივ პროგრამას:

- აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე) ამბულატორიული დახმარების პროგრამა (ბიუჯეტი - 250 000 ლარი);
- აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე) ჰოსპიტალური დახმარების პროგრამა (ბიუჯეტი - 39 683 ლარი);
- აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამა (ბიუჯეტი - 59 780 ლარი);
- აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამა (ბიუჯეტი - 80 000 ლარი).

ზემოხსენებული პროგრამები მოიცავს 16 ქვეპროგრამას/კომპონენტს, სადაც არსებითად იყო გაზრდილი მიზნობრივი სამედიცინო სერვისების ჩამონათვალი. აღსანიშნავია, რომ დაწყებული 2017 წლიდან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამოუკიდებელი პროგრამების ჩამონათვალის რაოდენობრივი შემცირება განპირობებული იყო პროგრამების შემადგნელობაში სამედიცინო მომსახურებების პროფილური სერვისების კომპონენტების სახით დაჯგუფებით. კერძოდ, ამბულატორიული დახმარების პროგრამას კომპონენტის სახით შეუერთდა სამკურნალო რეაბილიტაციის პროგრამა, ხოლო სოციალური მხარდაჭერის პროგრამაში კომპონენტების სახით გადატანილ იქნა სამედიცინო პერსონალის გადამზადების 2 პროგრამა. ასევე, გამოირიცხა სახელმწიფო ჯანდაცვით პროგრამებთან დუბლირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე) ამბულატორიული დახმარების პროგრამა*
  - <u>კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის (კონტრასტით) კომპონენტი</u> მიმართული იყო რთულ შემთხვევებში დიაგნოზის ვერიფიცირებისათვის. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 31 000 ლარს და განხორციელდა შპს ,,რეგიონულ ჰოსპიტალში“. პროგრამა მოიცავდა 200 ეპიზოდის დაფინანსებას. დაფინანსდა 149 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (200 ეპიზოდი). ათვისებულმა თანხამ შეადგინა 31 000 ლარი;
  - <u>ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევების კომპონენტი</u> ასევე მიმართული იყო რთულ შემთხვევებში დიაგნოზის ვერიფიცირებისათვის. პროგრამა ითვალისწინებდა გამოკვლევის ჩატარებას ნარკოზისა და კონტრასტის გარეშე, ანგიოგრაფიით და ნარკოზით. პროგრამის განხორციელებისათვის გამოცხადდა სამი ტენდერი. საერთო ბიუჯეტი შეადგენდა 95 330 ლარს და განხორციელდა შპს ,,რეგიონულ ჰოსპიტალსა და შპს ,,ავერსის“ კლინიკაში. პროგრამა მოიცავდა სულ 472 ეპიზოდის დაფინანსებას. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სულ 449 ბენეფიციარი (472 ეპიზოდი). ათვისებულმა თანხამ შეადგინა 95 330 ლარი;
  - <u>ინსტრუმენტული გამოკვლევების კომპონენტი</u> ითვალისწინებდა ბენეფიციართა უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას ინსტრუმენტული გამოკვლევების მიღებაში. პროგრამის განხორციელებისათვის გამოცხადდა ორი ელექტრონული ტენდერი. პირველი ტენდერის საფუძველზე გამარჯვებული გახდა შპს „ავერსის კლინიკა“ (ბიუჯეტი - 14000 ლარი). პროგრამა ითვალისწინებდა თავის ტვინისა და ქვედა კიდურების დოპლეროგრაფიას, ეზოფაგოდუოდენოსკოპიას, ციფრულრენტგენოგრაფიას, ექტროენცეფალოგრაფიას, კოლპოსკოპიას (230 ეპიზოდი);

პროგრამით გათვალისწინებულ ცალკეულ კომპონენტებზე გაზრდილი მომართვიანობის გამო გამოცხადდა მეორე ტენდერი, სადაც გამარჯვებული გახდა სს. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება 2 887 ლარზე. პროგრამა ითვალისწინებდა 70 ეპიზოდის დაფინანსებას (თავის ტვინისა და ქვედა კიდურების დოპლეროგრაფიას, ეზოფაგოდუოდენოსკოპიას, ციფრულ რენტგენოგრაფიას).

ამრიგად, ორივე ტენდერის ჯამში დაფინანსდა 285 ბენეფიციარი (300 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 16 887 ლარი;

- ორთოპედიული (სტომატოლოგიური პროთეზირება) მომსახურების კომპონენტი ითვალისწინებდა ორთოპედიულ მკურნალობას (ზედა და ქვედა ყბის ნაწილობრივი ან სრული მოსახსნელი პლასტმასის კონსტრუქცია). პროგრამა განხორციელდა სამ ეტაპად. პირველი და მეორე ტენდერების შედეგად გამარჯვებული გახდა შპს „32 დენტი“, ხოლო მესამე ტენდერში გაიმარჯვა თსსუ №1 სტომატოლოგიურმა კლინიკამ“. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 28 149 ლარით (230 ეპიზოდი).

  ამრიგად, სამივე ტენდერის ჯამში დაფინანსდა 125 ბენეფიციარი (230 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 28 149 ლარი;

- სამკურნალო რეაბილიტაციის კომპონენტი ითვალისწინებდა დევნილთათვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსებას. პროგრამის განხორციელებისათვის გამოცხადდა სამი ტენდერი, სადაც გამარჯვებული გახდა შპს ,,დავით ტატიშვილის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრმა“. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 28 104 ლარს. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სულ 93 ბენეფიციარი (1 952 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 28 096 ლარი;

- მხედველობის ორგანოს სკრინინგული გამოკვლევის კომპონენტის მიზანს წარმოადგენდა ბენეფიციართა უფასო კვალიფიცირებული სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 10 000 ლარით და განხორციელდა შპს ,,ავერსის კლინიკაში“. პროგრამა ითვალისწინებდა ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციებს, მხედველობის სიმახვილის განსაზღვრას, ოფთალმოსკოპიას, რქოვანას ტოპოგრაფიას, კოჰერენტულ ტომოგრაფიას და კომპიუტერულ პერიმეტრიას (სულ 194 ეპიზოდი).

  საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სულ 141 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (194 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 9 960,0 ლარი (ნაშთი - 40 ლარი);

- რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესების კომპონენტის მიზანს წარმოადგენდა თანამედროვე მაღალტექნოლოგიური კვლევისა და მკურნალობის მეთოდების დახმარებით წყვილთა უნაყოფობის დიაგნოსტიკა.

ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული გახდა შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრი ,,ენმედიცი“. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 4 850 ლარს და ითვალისწინებდა ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციებს, კლინიკო-ლაბორატორიულ გამოკვლევებს (88 ეპიზოდი). საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 16 ბენეფიციარის ამბულატორიული მომსახურება (84 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 4 850 ლარი;

- <u>სისხლის მიმოქცევის სისტემის სკრინინგული გამოკვლევების კომპონენტის</u> მიზანს წარმოადგენდა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებათა ადრეული დიანოსტიკა და გართულებათა პრევენცია. პროგრამა განხორციელდა 2 ეტაპად. პირველ ეტაპზე პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 6 800 ლარით. ელექტრონული ტენდერის შედეგად გამარჯვებული გახდა შპს ,,ავერსის კლინიკა“. პროგრამა ითვალისწინებდა ექიმ-კარდიოლოგის კონსულტაციას და ექოკარდიოგრაფიას, სრული ლიპიდური სპექტრის განსაზღვრას, 24-საათიანი ეკგ მონიტორინგს და ფიზიკური დატვირთვის სინჯს-პრედმილს (140 ეპიზოდი).

  პროგრამით გათვალისწინებული ცალკეულ კომპონენტებზე გაზრდილი მომართვიანობის გამო გამოცხადდა ახალი ტენდერი, სადაც გამარჯვებული გახდა სს. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება 3 600 ლარზე. პროგრამა ითვალისწინებდა 120 ეპიზოდის დაფინანსებას (ექიმ-კარდიოლოგის კონსულტაციას და ექოკარდიოგრაფიას, სრული ლიპიდური სპექტრის განსაზღვრას, 24 საათიანი ეკგ მონიტორინგს).

  ორივე ტენდერის ჯამში დაფინანსდა სულ 137 ბენეფიციარი (260 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 10 400 ლარი;

- <u>ლაბორატორიული კვლევების კომპონენტის</u> მიზანია აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის უფასო, კვალიფიციური სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა აღნიშნული გამოკვლევების მიღებაში დაფინანსების გზით. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 7600 ლარით. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული გახდა შპს „აკ. ვ.ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიაბეტოლოგიის ცენტრი ენმედიცი“, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება 6 070 ლარზე. პროგრამა ითვალისწინებდა 40 ეპიზოდის დაფინანსებას (წვრილნემსიანი ასპირაციული ბიოფსია FNA ულტრაბგერის კონტროლით-20 და სხვადასხვა ბიოფსიური მასალის მორფოლოგია და იმუნოჰისტოქიმია-20). დაფინანსდა სულ 30 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (40 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 6 070 ლარი;

- <u>აბილიტაციის კომპონენტის</u> მიზანს წარმოადგენდა მენტალური განვითარების დარღვევის მქონე ბავშვთა მაქსიმალური სოციალური ადაპტაცია და საზოგადოების დამოუკიდებელ და აქტიურ წევრად ჩამოყალიბების შესაძლებლობის ფორმირება.

პროგრამის განსახორციელებლად ჩატარებულ ტენდერში გაიმარჯვა ,,სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრმა აისი“ 19 210 ლარით. პროგრამა ითვალისწინებდა 34 ბენეფიციარის დაფინანსებას. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სულ 34 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (714 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 19 210 ლარი.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), ჰოსპიტალური მკურნალობის პროგრამა*
  - <u>კორონარული ანგიოგრაფიის კომპონენტი.</u> ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,ნიუ ჰოსპიტალსმა“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 13 555 ლარზე. პროგრამა მოიცავდა 24 ეპიზოდის დაფინანსებას. დაფინანსდა 24 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 13 555 ლარი;
  - <u>მენჯ-ბარძყის სახსრის ტოტალური ენდოპროთეზით მომსახურების კომპონენტის</u> განხორციელებისათვის გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული გახდა შპს ,,აკადენიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“. პროგრამა ბიუჯეტი შეადგენდა 26 128 ლარს და ითვალისწინებდა 10 ეპიზოდის დაფინანსებას. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 10 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (10 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 26 128 ლარი;

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სულ ჯანდაცვითი პროგრამების ფარგლებში (გარდა პროფსამედიცინო გასინჯვებისა) დახმარება გაეწია 1 493 ბენეფიციარს (4 484 ეპიზოდი).

- *აფხაზეთიდან იგპ-თა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამის* მიზანს წარმოადგენდა ადგილზე ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების გზით ავადობის აქტიური გამოვლენა, დევნილთა მედიკამენტებითა და ჰუმანიტარული ტვირთით უზრუნველყოფა.

  საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში:

  - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ქ. ბორჯომი) გაისინჯა 220-მდე მოქალაქე, განხორციელდა 700-მდე ვიზიტი ექიმ-სპეციალისტთან. C ჰეპატიტის სკრინინგი ჩაუტარდა 70 ბენეფიციარს, რომელთაგან დადებითი პასუხი დაუფიქსირდა 3-ს. აქციის პერიოდში, დევნილი პაციენტებისათვის, ჩვენებების მიხედვით, გაცემულია 5 886,127 ლარის ღირებულების მედიკამენტები;
  - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ახალციხის მუნიციპალიტეტი) შპს ,,ახალციხის კლინიკა იმედში“ გაისინჯა 60-მდე მოქალაქე, განხორციელდა 300-მდე ვიზიტი ექიმ-სპეციალისტთან. ბენეფიციართა შორის იყვნენ როგორც აფხაზეთიდან იგპ-ები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა. C ჰეპატიტის სკრინინგი ჩაუტარდა 29

ბენეფიციარს, რომელთაგან დადებითი პასუხი დაუფიქსირდა 2-ს. სულ გაიცა 2 777,32 ლარის ღირებულების მედიკამენტები;

- სამედიცინო გასინჯვები ჩატარდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტები). კერძოდ:
  - ქ. ფოთში გაისინჯა 320-მდე მოქალაქე, განხორციელდა 850-მდე ვიზიტი ექიმ-სპეციალისტთან. მოსახლეობა. C ჰეპატიტის სკრინინგი ჩაუტარდა 26 ბენეფიციარს, რომელთაგან დადებითი პასუხი დაუფიქსირდა 2-ს;
  - ქ. ხობში გაისინჯა 80-მდე ბენეფიციარი, განხორციელდა 300-მდე ვიზიტი ექიმ-სპეციალისტთან. C ჰეპატიტის სკრინინგი ჩაუტარდა 6 ბენეფიციარს, რომელთაგან დადებითი პასუხი დაუფიქსირდა 1-ს.

ბენეფიციართა შორის იყვნენ როგორც აფხაზეთიდან იგპ-ები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა. ღონისძიებაში მონაწილე დევნილ მოსახლეობაზე ექიმების დანიშნულების მიხედვით გაიცა სულ 7 431, 93 ლარის ღირებულების მედიკამენტები.

- გასვლითი ღონისძიება განხორციელდა კახეთის რეგიონში (თელავი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი ბაკურციხე):
  - თელავში გაისინჯა 70 მოქალაქე, განხორციელდა 250-მდე ვიზიტი ექიმ-სპეცილისტთან;
  - ბაკურციხეში გაისინჯა 50-მდე ბენეფიციარი, განხორციელდა 200-მდე ვიზიტი ექიმ-სპეციალისთან. C ჰეპატიტის სკრინინგი ჩაუტარდა 24 ბენეფიციარს, რომელთაგან დადებითი პასუხი დაუფიქსირდა 1-ს. ღონისძიებაზე დაიხარჯა 5 019,58 ლარის მედიკამენტი;
- იმერეთის რეგიონში (სამტრედიის მუნიციპალიტეტი) გაისინჯა 150 მოქალაქე, განხორციელდა 550-მდე ვიზიტი ექიმ-სპეცილისტთან. C ჰეპატიტისა და შიდსის სკრინინგი ჩაუტარდა 52 ბენეფიციარს, რომელთაგან დადებითი პასუხი დაუფიქსირდა 4-ს. ღონისძიებაზე დაიხარჯა 3 239,72 ლარის მედიკამენტი;
- პროგრამის ფარგლებში ჩატარდა გასვლითი ღონისძიება ჩატარდა აჭარის რეგიონში (ქ.ბათუმი, ბენზეს დასახლება; ქ. ქობულეთი). ორივე ქალაქში გაისინჯა 286 მოქალაქე, განხორციელდა 955 ვიზიტი ექიმ-სპეციალისტებთან. ბენეფიციართა შორის 28 დევნილი იყო ტრანსპორტირებული დაბა ჩაქვიდან. ქ. ბათუმში C ჰეპატიტისა და შიდსის სკრინინგი ჩაუტარდა 58 ბენეფიციარს, დადებითი პასუხი არ აღმოაჩნდა არავის, ხოლო ქ. ქობულეთში გასინჯული 15 ბენეფიციარიდან 1 შემთხვევაში დაფიქსირდა დადებითი პასუხით. ღონისძიებაზე გაიხარჯა 7117,19 ლარის მედიკამენტი;
- ქ. თბილისში სარაჯიშვილის ქ. №108 (ყოფილი 36-ე ლიცეუმი) კომპაქტურ ჩასახლებაში, ღონისძიების ფარგლებში, გაისინჯა 15 მოქალაქე, განხორციელდა 25

ვიზიტი ექიმ-სპეციალისტთან. აფხაზეთიდან დევნილ ბენეფიციარებზე გაიცა მედიკამენტები;

- გასვლითი ღონისძიება ჩატარდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (ქ. ზუგდიდი, ქ. ჯვარი, სოფ. რუხი). სულ გაისინჯა 585 მოქალაქე (215- ჯვარში, 165 - ზუგდიდის სკრინინგ ცენტრში, 2015 - ზუგდიდის დევნილთა პოლიკლინიკაში). განხორციელდა 1 784 ვიზიტი ექიმ-სპეციალიტთან. ბენეფიციართა შორის იყვნენ როგორც აფხაზეთიდან იგპ-ები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა. ექიმების მიერ დანიშნული მკურნალობის შესაბამისად დევნილ ბენეფიციარებზე, დადგენილი წესით, გაიცა 12 099,39 ლარის პროგრამული ბიუჯეტით შესყიდული და 856,85 ლარის ჰუმანიტარულად გადმოცემული მედიკამეტები. სულ აქციაზე გაიცა 12 956,24 ლარის მედიკამენტები. C ჰეპატიტისა და შიდსის სკრინინგი ჩაუტარდა 52 ბენეფიციარს, რომელთაგან დადებითი პასუხი დაუფიქსირდა 9-ს;

- შიდა ქართლის რეგიონში (ხაშურის მუნიციპალიტეტი), აქციის ფარგლებში, გაისინჯა 82 მოქალაქე. ბენეფიციართა შორის იყვნენ როგორც აფხაზეთიდან, ასევე სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული პირები. განხორციელდა 250-მდე ვიზიტი ექიმ-სპეციალისტთან. ექიმების მიერ დანიშნული მკურნალობის შესაბამისად აფხაზეთიდან დევნილ ბენეფიციარებზე, დადგენილი წესით, გაიცა 2691,116 ლარის პროგრამული ბიუჯეტით შესყიდული და 107,42 ლარის ჰუმანიტარულად გადმოცემული მედიკამეტები. სულ აქციაზე გაიცა 2 798,536 ლარის მედიკამენტები. C ჰეპატიტისა და შიდსის სკრინინგი ჩაუტარდა 34 ბენეფიციარს, რომელთაგან დადებითი პასუხი დაუფიქსირდა 1-ს.

ამრიგად, საანგარიშო პერიოდში „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში გასინჯულია 1 918 ბენეფიციარი, განხორციელდა 6 164 ვიზიტი ექიმ-სპეციალისტებთან. გაიცა 47 226,643 ლარის მედიკამენტი. C ჰეპატიტის სკრინინგი ჩაუტარდა 366 ბენეფიციარს, დადებითი პასუხი მიღებულ იქნა 24 შემთხვევაში.

პროფსამედიცინო გასინჯვებში მონაწილეობა მიიღო ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა 278 მოქალაქემ, განხორციელდა 1 200-მდე ვიზიტი ექიმ-სპეციალისთან, გაიცა 4 380 ლარის მედიკამენტები.

,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფიალქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამაზე ბიუჯეტით გათვალისწინებული 60 000 ლარიდან ეკონომიამ შეადგინა 220,13 ლარი.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამის* მიზანს წარმოადგენდა იგპ-თა სოციალური მხარდაჭერა, მოსარგებლეებისათვის უფასო და ხარისხიანი სასწავლო-მიზნობრივი პროგრამების მიწოდება, სახსრების ენდოპროთეზირების ჩატარებაზე ფინანსური

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. პროგრამა წარმოდგენილ იყო 3 კომპონენტით:

- <u>მენჯ-ბარძაყის სახსრის ტოტალური ენდოპროთეზით მომსახურების კომპონენტის</u> ბიუჯეტი ითვალისწინებდა მენჯ-ბარძყის სახსრის ენდოპროთეზის შესყიდვას 10 ბენეფიციარისათვის. ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,ივერმედმა", რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 19 200 ლარზე. დაფინანსდა 10 ბენეფიციარი. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 17 930 ლარი;
- <u>საშუალო სამედიცინო პერსონალის (ექთანი) გადამზადების კომპონენტის</u> ბიუჯეტმა შეადგინა 8 000,0 ლარი. ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა. ითვალისწინებდა 20 საშუალო სამედიცინო პერონალის/ექთნის გადამზადებას, მათ შორის აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე ექთნების გადამზადებას. ერთი საშუალო სამედიცინო პერონალის გადამზადების ღირებულებაა 400 ლარი.

  გადამზადების კურსო გაიარა 20 ექთანმა. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 800 ლარი;
- <u>აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ჰოსპიტალური მკურნალობის დაფინანსების ხელშეწყობის პროგრამა</u> ამოქმედდა მ.წ. მესამე კვარტალში. პროგრამის მიზანის წარმოადგენდა დევნილ ავადმყოფთა სტაციონარული/ჰოსპიტალური მკურნალობის ღირებულების თანადაფინანსების თანხების ანაზღაურებაში წილობრივი მონაწილეობით მოქალაქეთათვის ადეკვატური სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობასა და დროულ მიღებაში ფინანსური მხარდაჭერა. ბიუჯეტმა შეადგინა 50 000 ლარი, მაგრამ ,,აფხაზეთიდან იძლებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამის" კომპონენტების ბიუჯეტის ეკონომიამ შეადგინა 4 070 ლარი, რაც დაემატა ზემოაღნიშნულ პროგრამას. საბოლოო ბიუჯეტი განისაზღვრა 54 070 ლარით.

  სანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 108 ბენეფიციარი, რომელთა სამედიცინო მომსახურების ღირებულებამ შეადგინა სულ 54 070 ლარი.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2017 წელს შესყიდული იქნა 50 წნევის აპარატი, 15 ნებულაიზერი, 30 გლუკომეტრი და ტესტ-ჩხირი (N50) 27 შეფუთვა საერთო ღირებულებით 2 989 ლარი, ასევე მძიმე პაციენტთა მოვლის 13 დასახელების საშუალებები საერთო ღირებულებით 1 911 ლარი. სამინისტროში შემოსული განცხადებების საუძველზე 2018 წლს გაცემულია ორი გლუკომეტრი ტესტ-ჩხირით, ერთი წნევის აპარატი, ხოლო მძიმე პაციენტთა მოვლის საშუალებები გაიცა სრულად.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში სამინისტროს შუამდგომლობით, ორგანიზაციასთან ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ მიერ 43 ბენეფიციარს (მათ შორის 2 - ოკუპირებულ ტერიტორიაზე, 14 - ქ. თბილისში) გადაეცა ინვალიდის ეტლი.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დახმარებისათვის მომართა აფხაზეთში მცხოვრებმა 261 პირმა. გრძელდებოდა აფხაზ პაციენტთა თანმხლები პირების დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროექტის განხორციელება. რეფერალური ობიექტით (საცხოვრისი) ისარგებლა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებმა 32 ბენეფიციარმა თანმხლებ პირებთან ერთად. თითოეული მოსარგებლის ჩასახლება აღნიშნულ ობიექტზე განხორციელდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური ობიექტით სარგებლობის წესის“შესაბამისად.

<u>განათლება, კულტურა, სპორტი</u>

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ განხორციელდა შემდეგი პროგრამები და ქვეპროგრამები:

- <u>,,სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“</u>

  ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი პროექტები:
პირველ კვარტალში პროგრამის ფარგლებში **აფხაზეთის N5 საჯარო სკოლას** მასალების შეძენის მიზნით გამოეყო **2998 ლარი;**

მეორე კვარტალში პროგრამის ფარგლებში **ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის N3 საჯარო სკოლას** მასალების შეძენის მიზნით გამოეყო **1998.50 ლარი;**
ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლას გამოეყო მასალების შესაძენად **3000 ლარი;**

მესამე კვარტალში აფხაზეთის N2 საჯარო სკოლას გამოეყო **1823 ლარი და 30 თეთრი** სკოლის დერეფნის რემონტისათვის მასალების, კარადების (6 ცალი), სკამების (4ცალი) და სანათი მოწყობილობების - ბრების (17 ცალი) შეძენის მიზნით;
ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის N3 საჯარო სკოლას გამოეყო **486 ლარი** სანათი მოწყობილობების შეძენის მიზნით;
ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის N11 საჯარო სკოლას გამოეყო **2700 ლარი** სკოლის მეორე სართულიდან გასასვლელი კიბის აღდგენის მიზნით;
აფხაზეთის N14 საჯარო სკოლას გამოეყო **4770 ლარი** საკლასო ოთახებისათვის 9(ცხრა) ცალი კარისა და 6(ცალი) ფანჯრის შეძენის მიზნით;
აფხაზეთის N12 საჯარო სკოლას გამოეყო **1500 ლარი** სკოლის მეორე სართულის ფოიეს, სამასწავლებლოს და საპირფარეშოს იატაკის რემონტისათვის საჭირო მასალების შეძენის მიზნით;

აფხაზეთის N15 საჯარო სკოლას გამოეყო **3430 ლარი** 11 (თერთმეტი) ცალი კარების შეძენის მიზნით;
აფხაზეთის N21 საჯარო სკოლას გამოეყო **2097ლარი 50 თეთრი** სკოლის მიმდინარე რემონტისათვის (კედლების შელესვა/შეღებვა, იატაკის შეღებვა, ასევე სახურავის შეკეთებისათვის) საჭირო მასალების შეძენის მიზნით;
თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლას გამოეყო **3385 ლარი 00 თეთრი** სკოლის მიმდინარე რემონტისათვის (სკოლის საპირფარეშოების ჭერის გამოცვლა, ასევე სკოლის შესასვლელი კიბის უჯრედისა და კედლების შელესვა-შეღებვა-მოპირკეთება, დაზიანებული დერეფნის მონაკვეთების რემონტისათვის) საჭირო მასალების შეძენის მიზნით;
აფხაზეთის N1 საჯარო სკოლას გამოეყო **1617 ლარი და 50 თეთრი** სკოლის მიმდინარე რემონტისათვის (სკოლის ოთახის კედლებიდან ამორტიზირებული შელესვის მოსხნა, ამორტიზირებული შეფითხვისა და საღებავის ჩამოფხეკა, დემონტირებულ ადგილას კედლის შელესვა-შეღებვა, ხის იატაკის შეღებვა, ჩამოშლილი უკანა კედლის აღდგენა, არსებული იდენტური, მოთუთიებული წყალჩამომშვები მილების მოწყობა-ჩამატება გასაშლელი სახანძრო კიბის საშუალოებით) საჭირო მასალების შეძენის მიზნით;
ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლას გამოეყოს **1900 ლარი** სკოლის კიბის მოაჯირის შეცვლის მიზნით;
აფხაზეთის N3 საჯარო სკოლის გამოეყოს **828,08 ლარი** ტექნიკის: მინი ცენტრის (230 ლარი) მეხსიერების ბარათების (40 ლარი), პრინტერისა და კარტრიჯის (558,08 ლარი) შეძენის მიზნით;
ოკუპირებული გალის რაიონის 30 საჯარო სკოლისთვის საკანცელარიო ნივთის შეძენის მიზნით გამოიყო **10381.22 ლარი;**

მეოთხე კვარტალში პროგრამის ფარგლებში **აფხაზეთის N15 საჯარო სკოლას** გამოეყო **34442 ლარი** სკოლის სპორტული დარბაზის სახურავის რეკონსტრუქციის მიზნით (გაიხარჯა **27748,95** ლარი, დააბრუნა - **6693 ლარი**);
საზოგადოება ,,აფხაზურ სახლს“ გამოეყო **15000 ლარი** წიგნის ,,აფხაზური ენა დამწყებთათვის“ გამოცემის მიზნით.
ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლას გამოეყო **1900 ლარი** ბიბლიოთეკის ინვენტარის: კარადების (5 ცალი), მაგიდის (1 ცალი), სკამი (1 ცალი) შეძენის მიზნით.
აფხაზეთის N5 საჯარო სკოლას გამოეყო **3000 ლარი** ბიბლიოთეკის ინვენტარის: მაგიდების (10 ცალი), კარადების (7 ცალი) შეძენის მიზნით;
აფხაზეთის N12 საჯარო სკოლას გამოეყოს **1190 ლარი** სკოლის შესასვლელის გადახურვის რეკონსტრუქციის მიზნით;
ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის N3 საჯარო სკოლას გამოეყო **200 ლარი** პორატბელური DVD - სა და დინამიკების შეძენის მიზნით.

- <u>,,წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა“</u>
  - 2018 წლის განმავლობაში განხილულ იქნა 216 განცხადება, პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით დაფინანსდა 184 წარმატებული ახალგაზრდა აფხაზეთიდან.

- ,,კარიერის დაგეგმვის, პროფესიული განათლებისა და სკოლებში სახელობო-შემოქმედებითი ინიციატივების ხელშეწყობა“

  - **პირველ კვრტალში, პროგრამის ფარგლებში შექმნილი შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით, გამოიყო შემდეგი თანხები:**
  - 1. აფხაზეთის №3 საჯარო სკოლა – 369.50 ლარი (ქსოვილის შეძენა);
  - 2. აფხაზეთის №12 საჯარო სკოლა – 400 ლარი (თიხაზე სამუშაო მასალების შეძენა).

  - ქვეპროგრამის ფარგლებში სკოლებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გრძელდება თანამშრომლობა. თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლამ განაახლა თანამშრომლობის მემორანდუმი შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტთან 5 წლის ვადით. შედეგად, მომზადდა ერთობლივი პროექტები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „შრომითი უნარების განვითარება სკოლაში“ ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით. ასევე, სკოლა აგრძელებს თანამშრომლობას საზოგადოებრივ კოლეჯთან „ფაზისი“, რომლის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობის განხორციელება.
  - აფხაზეთის N2 საჯარო სკოლა აგრეძელებს თანამშრომლობას ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ „განთიადთან“ ერთად, რომლის ფარგლებში სკოლა კოლეჯთან თანამშრომლობით განაგრძობს სახელობო კურსის - „მკერავი“ განხორციელებას ახალი ჯგუფებისთვის.

მეორე კვარტალში, პროგრამის ფარგლებში შექმნილი შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით, გამოიყო შემდეგი თანხები:

1. აფხაზეთის № 5 საჯარო სკოლა – 487.50 ლარი (დეკუპაჟის წრისთვის საჭირო მასალის შეძენა);
2. აფხაზეთის № 7 საჯარო სკოლა – 400 ლარი (ქსოვილის შეძენა);

- ,,საზაფხულო ბანაკი“

  - ,,საზაფხულო ბანაკის" ფარგლებში მაღალი აკადემიური მოსწრების, საზოგადოებრივ და სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის მიხედვით შერჩეულმა 32 მოზარდმა აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებიდან დაისვენა ქ. ქობულეთში და გაიუმჯობესა ჯანმრთელობა.

  - მოსწავლეები ჩართული იყვნენ სამოქალაქო ცნობიერების, კულტურულ-შემეცნებით და სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში.
  - ბანაკის ბენეფიციარებს ჩაუტარდათ ტრენინგები თემებზე: გარემოსდაცვითი განათლება, ჯანსაღი ცხოვრების წესი (შიდსის, ნარკომანიის პრევენცია, სამშვიდობო განათლების მთავარი პრინციპები და სხვა.
  - გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების მიზნით, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის წარმომადგენლებმა მოსწავლეებს ჩაუტარეს ეკო-გაკვეთილები და ტრენინგები. ასევე, გაიმართა საუბრები გენდერული თანასწორობის,

ტოლერანტობის თაობაზე. ბანაკის ყველა მონაწილეს გადაეცა მონაწილის სერტიფიკატი.

- ,,საზაფხულო ბანაკის" ფარგლებში შედგა ვიზიტი საზოგადოებრივ კოლეჯში ,,ახალი ტალღა". მოსწავლეები გაეცნენ პროფესიული სწავლების სპეციფიკას, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პროფესიული გადამზადების მიზნობრივ პროგრამებს.
- ბანაკის ფარგლებში მოეწყო გასვლითი ექსკურსია - ღამის ბათუმის დათვალიერება.

- <u>,,დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები"</u>

- ქვეპროგრამის ,,დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის" ფარგლებში დაფინანსდნენ დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიანტები:

- **დავით დოლიძე** - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის ჟურნალისტიკის მე-3 კურსის სტუდენტი;
- **თამარ ბარამია** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი.
- **თამარ ჩითინაშვილი** - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მე-4 სემესტრის სტუდენტი;
- **თეონა მჭედლიშვილი** - კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი.

- მესამე კვარტალში ქვეპროგრამის ,,დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის" ფარგლებში შექმნილმა კომისიამ განიხილა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შემოსული 9 წარდგინება.

- **ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია მიენიჭათ:**

ა) გიორგი დუნდუას - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის ,,განათლების მეცნიერებები" სტუდენტს;

ბ) დავითი ესათიას - კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს;

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია

ქვეპროგრამის ,,აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია“ ფარგლებში შექმნილმა კომისიამ განიხილა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შემოსული 2 (ორი) წარდგინება.

ნინო ყრუაშვილს - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტისა და ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტს მიენიჭა ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია.

- ,,შემეცნებითი საგანმანათლებლო პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) მოზარდებისათვის“
  - 2018 წლის 21 მარტს დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებით ზაალ სულაკაურის გასართობ ცენტრში მოეწყო 25 შშმ მოზარდისთვის გასართობი ღონისძიება. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა აქტივობები ჯამბაზებისა და ანიმატორების მონაწილეობით. ასევე, ორგანიზებულ იქნა ფოტოგადაღება. ზაალ სულაკაურმა შშმ ბავშვებს ჩაუტარა ხატვის მასტერ-კლასი. დასასრულს გაიმართა ფეიერვერკი. ღონისძიებაში მონაწილე ყველა შშმ მოზარდს გადაეცა სამახსოვრო საჩუქარი.

  - 2018 წლის 22 ივნისს, 25 შშმ მოზარდისთვის მოეწყო ექსკურსია ანანურის ციხის, შიო მღვიმის მონასტრისა და ბაზალეთის ტბის მიმართულებით. მოზარდებისთვის შეიქმნა სასიამოვნო და სახალისო გარემო. ღონისძიებაში მონაწილე ყველა შშმ მოზარდს გადაეცა სამახსოვრო საჩუქარი.
  - ქვეპროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 30 შშმ მოზარდს შ.პ.ს. გარდენიაში ჩაუტარდა მწვანე გაკვეთილების კურსი. მოზარდები მონაწილეობდნენ სხვადასხვა აქტივობაში, მოხატეს ქოთნები და ჩარგეს ყვავილები, ასევე დაათვალიერეს სანერგე მეურნეობა. პროგრამის ფარგლებში ყველა მოზარდს სამახსოვრო საჩუქარი გადაეცა.

- კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა

  მიზანი: პრიორიტეტი ემსახურება ქვეყანაში არსებული აფხაზეთის შემოქმედებითი რესურსებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის დაცვას, განვითარებას, პოპულარიზაციას, მათ წარმოჩენას. აფხაზეთისა და საქართველოს შემოქმედებით ორგანიზაციებს შორის ტრადიციული კულტურული კავშირების აღდგენას, აფხაზეთის მოსახლეობისათვის სახელოვნებო ცხოვრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ხელოვნების სფეროში თავისუფალი, დაცული და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას.

„საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისათვის“

აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისათვის ტრადიციულად იმართება წინასაახალწლოდ ზეიმი, რათა მათ ამაღლებული და სახალისო განწყობა შეექმნათ და მხიარულად შეეგებონ ახალ წელს.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა მიზანი:

პროექტის მიზანია დევნილი ბავშვებისთვის საახალწლო განწყობისა და მხიარული ატმოსფეროს შექმნა, მოზარდების შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა.

27-28 დეკემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს რეაბილიტირებულმა დარბაზმა უმასპინძლა 4-14 წლამდე ასაკის დევნილ ბავშვებს. მოზარდების საახალწლო განწყობის შესაქმნელად სოხუმის მოზარდ-მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა „თეთრი ტალღა“ კარლო კოლოდის ზღაპარი „პინოქიო“ წარმოადგინა. სპექტაკლი გაიმართა 4-ჯერ და მას დაესწრო აფხაზეთიდან დევნილი 1000 მოზარდი.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ყველა ბავშვს ტკბილეული დაურიგდა საჩუქრად.

„საღამოები“

გენო კალანდიას ხსოვნის საღამო

აფხაზეთში მოღვაწე ქორეოგრაფებისადმი მიძღვნილი საღამო

გენო კალანდიამ საინტერესო პოეტური წიგნები დაუტოვა საქართველოს, შთამომავლობას, ქართულ პოეზიას. იგი მუდამ ერთგულ გუშაგად ედგა ქართულ-აფხაზურ ისტორიულ ერთობას. მან თავისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მანძილზე არაერთხელ დააფიქსირა აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია და სიტყვითა და კალმით დაიცვა ჩვენი ქვეყნის ინტერესები. იგი გამორჩეული ფიგურაა, რომელიც ნამდვილად იმსახურებდა ხსოვნის საღამოს ღირსეულად აღნიშვნას.

ქართულ-აფხაზური ქორეოგრაფიული ხელოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით აფხაზეთში მოღვაწე ქორეოგრაფებს, რომლებმაც თავიანთი ინდივიდუალიზმით, პროფესიის უსაზღვრო სიყვარულითა და შრომისმოყვარეობით საფუძველი ჩაუყარეს აფხაზეთში ქორეოგრაფიულ ხელოვნებას.

სამწუხაროდ, აფხაზეთში მოღვაწე ქორეოგრაფების ღვაწლი სათანადოდ არაა წარმოჩენილი და დაფასებული. სწორედ ამას ემსახურება აღნიშნული ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოხდება აფხაზეთში მოღვაწე, ღვაწლმოსილი ქორეოგრაფების შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო.

კახაბერ შარაბიძისთვის 2018 წელი საიუბილეო თარიღია. მას დაბადებიდან 55, ხოლო თეატრში მოღვაწეობიდან 35 წელი უსრულდება. იგი 1983 წლიდან დღემდე ერთგულად ემსახურება სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, რომელმაც სცენაზე არაერთი საინტერესო როლი და დასამახსოვრებელი სახე

შექმნა. სწორედ ამ თარიღებთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მსახიობების საიუბილეო საღამოს ჩატარება, რაც მის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზის ერთგვარი დაფასება იქნება.

პროგრამის მიზანი:

პროექტის მიზანი იყო ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, გენო კალანდიას ხსოვნის საღამოს მოწყობა; მისი მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედების წარმოჩენა და სათანადო პატივის მიგება.

კონკურს-დათვალიერების მიზანი იყო აფხაზეთის დამსახურებული ქორეოგრაფების საქმიანობისა და მათ მიერ ხელოვნების ამ დარგში მიღწეული შედეგების წარმოჩენა, ქორეოგრაფიული ხელოვნების პოპულარიზაცია აფხაზეთიდან დევნილ მოზარდებში.

პროექტის მიზანია მსახიობ კახაბერ შარაბიძის საიუბილეო საღამოს ჩატარება და მის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზის ერთგვარი დაფასება და სათანადო პატივის მიგება.

მიღწეული შედეგები:

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, შოთა რუსთაველის, საქართველოს სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძისა და გიორგი შარვაშიძის პრემიების ლაურეატის გენო კალანდიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო გაიმართა.

საღამოზე სიტყვით გამომსვლელებმა ისაუბრეს გენო კალანდიაზე, როგორც ქართული პოეზიისა და სიტყვის ოსტატზე. საღამოს მეორე ნაწილში წარმოდგენილი იყო ლიტერატურული კომპოზიცია, რომელიც მსახიობების მიერ წაკითხული გენო კალანდიას ლექსებით და ანსამბლ „აფხაზეთის“ მიერ შესრულებული სიმღერებით შეიკრა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, „კონგრეს-ჰოლის“ საკონცერტო დარბაზში, აფხაზეთის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების კონკურსი-დათვალიერება გაიმართა. კონკურსში მონაწილე შვიდივე კოლექტივს მონაწილეს სიგელი გადაეცა.

ქვეპროგრამის ფარგლებში 19 ნოემბერს, სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობისა და დირექტორის კახაბერ შარაბიძის საიუბილეო საღამო გაიმართა, სადაც დამსწრე საზოგადოებამ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალისგან მომზადებული ვიდეო-კოლაჟი იხილა. მსახიობებმა, კოლეგებმა, მეგობრებმა და თეატრმცოდნეებმა ხელოვანის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა გაიხსენეს. ღონისძიების დასასრულს მსახიობს აფხაზეთის მთავრობის მადლობის სიგელი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი გადაეცა.

შედეგების შესრულების შეფასების კრიტერიუმები:

განხორციელებული საღამოების შესახებ ინფორმაცია გაშუქდა ტელევიზიით და საგაზეთო სტატიების მეშვეობით, ასევე სტატიები განთავსდა ვებ-გვერდებზე.

„აფხაზეთის დღე“

ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთის კულტურის პოპულარიზაციით დაკავებული შემოქმედებითი ჯგუფების წარმოჩენა, მათი მხარდაჭერა და პოპულარიზაცია. აფხაზეთის დღის სახალხო ზეიმად ქცევა, რომლის ფარგლებშიც საზოგადოება კიდევ უფრო ახლოს გაიცნობს აფხაზეთის კულტურას, რაც ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზურ შერიგებას და ურთიერთობების აღდგენას.

- ქვეპროგრამის ფარგლებში 22 მაისს, აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელამ, აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში „თბილისის ივენთ-ჰოლში“ კონცერტი გამართა სახელწოდებით: „ქართული მუსიკა ზვიად ბოლქვაძესა და აფხაზეთის კაპელასთან ერთად“. საგუნდო კოლექტივი მაყურებლის წინაშე წარსდგა განახლებული პროგრამით, რომელსაც უდიდესი წარმატება და გამოხმაურება მოჰყვა. კონცერტზე საქვეყნოდ აღიარებული ქართული სიმღერები კაპელასთან ერთად შეასრულეს ქართული ესტრადის ვარსკვლავებმა: ნუკრი კაპანაძემ, ნატო მეტონიძემ, ლიზა ბაგრატიონმა და ნეკა სებისკვერაძემ.
- 23 მაისს, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთმა“, „აფხაზეთის დღესთან“ დაკავშირებით, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ანსამბლის დაარსების 40 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საანგარიშო კონცერტი გამართა.

საიუბილეო საღამოს დასაწყისში დამსწრეთ ანსამბლის 40 წლიანი ისტორიის ამსახველი დოკუმენტური ფილმი იყო ნაჩვენები. ანსამბლი მაყურებლის წინაშე განახლებული პროგრამით წარსდგა. კონცერტის ბოლოს კი ანსამბლის ყოფილ და მოქმედ წევრებს საპატიო ჯილდოები გადაეცათ.

ქვეპროგრამა: „ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია“

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოსა და საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე აფხაზეთის კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების წარდგენას, როგორც ერთიანი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილისა. აფხაზეთის მდიდარი ფოლკლორული ნიმუშების წარმოჩენას და აფხაზეთიდან დევნილი ხელოვანების ფინანსურ მხარდაჭერას მათი კონკურსებში, ფესტივალებში, კულტურის დღეებში და ფორუმებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

ქვეპროგრამა მიზანად ისახავს აფხაზეთის კულტურის, მისი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის და ხელოვნების პოპულარიზაციას. გააცნოს საერთაშორისო საზოგადოებას აფხაზეთის ხელოვნება, უძველესი კულტურა და რელიგია, მისი თანამედროვეობა, სულიერება და უნიკალური კულტურა. გაზარდოს და აამაღლოს ქართულ-აფხაზური კულტურის ცნობადობა საერთაშორისო მასშტაბით, რათა მეტად გაფართოვდეს კომუნიკაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობები.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:

07 თებერვლიდან 11 თებერვილის ჩათვლით აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს „აფხაზეთი“ მიწვეული იყო ქ. ერევანში. მათ მონაწილეობა მიიღეს სომხეთის კულტურის საქალაქო ცენტრის მიერ ორგანიზებულ საიუბილეო კონცერტში, რომელიც ანსამბლ „კრუნკის“ სამხატვრო ხელმძღვანელის ნუნუ გრიგორიანის 50 წლის იუბილეს მიეძღვნა. კონცერტი გაიმართა ერევნის სუნდიკიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე, სადაც ქართული და სომხური ცეკვები შესრულდა ერთობლივად.

ღონისძიებაში მონაწილეობამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა აფხაზეთის კულტურა მეზობელი ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ წრეებში. უფრო მეტად ცნობადნი და პოპულარულნი გახდნენ ფართო მასებში, რამაც ხელი შეუწყო სომეხ და ქართველ ხალხს შორის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ კულტურულ ურთიერთობებს.

- ქ. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის ,,ფერხული“ წამყვანი სოლისტი ილიკო აბდელანი მიმდინარე წლის 02 მარტიდან 05 მარტის ჩათვლით იმყოფებოდა აზერბაიჯანში, ქ. ბაქოში ხალხური ცეკვის საერთაშორისო ფესტივალზე. ქ. ბაქოში დაგეგმილი ხალხური ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი ტრადიციულად მრავალი წელია იმართება და მასში მონაწილეობას იღებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ქორეოგრაფიული ანსამბლები.

ფესტივალზე აფხაზეთიდან დევნილი მოცეკვავის მიერ ცეკვის „აფხაზური“ შესრულებამ დიდი მოწონება დაიმსახურა, რამაც ხელი შეუწყო ფართო აუდიტორიის წინაშე აფხაზეთის კულტურის წარმოჩენას, როგორც ერთიანი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილისა. ფესტივალი გაშუქდა ქ. ბაქოს წამყვანი ტელევიზიით, ინფორმაცია ქართული ანსამბლის შესახებ განთავსდა პრესაში და ინტერნეტ სივრცეში.

- აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან არსებულ ვ. არქანიას არტ-გალერეაში 05 მარტიდან 07 მარტის ჩათვლით შედგა აფხაზეთიდან დევნილი მხატვარ-დიზაინერის ეკატერინე გეგუჩაძის ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „წითელი ხაზი“. ეკატერინე გეგუჩაძე 2004 წლიდან მუშაობს ქართული და აფხაზური კულტურისათვის დამახასიათებელი ორნამენტების თემაზე ტესტილის დიზაინით. მან არაერთხელ წარმოაჩინა ქართულ-აფხაზური კულტურა სხვადასხვა ქვეყნებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, აფხაზური კულტურის თემა ხელოვნების იმ დარგში, რასაც ტექსტილის დიზაინი წარმოადგენს, რომელსაც დღემდე არც ერთი ხელოვანი არ

შეხება. ამიტომაც, მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული გამოფენის მოწყობა, რამაც ხელი შეუწყო არა მხოლოდ ქართული, არამედ აფხაზური კულტურის პოპულარიზაციას და რაც მნიშვნელოვანია ხელოვნების იმ დარგის წარმოჩენას, რასაც ტექსტილის მხატვრობა ჰქვია.

გურამ ყურაშვილის სახელობის საგუნდო კაპელამ, მიმდინარე წლის 07 მარტს, ქ. ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ დევნილ ქალბატონებს მიულოცა ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა აფხაზეთიდან დევნილი შემოქმედებითი კოლექტივი. კონცერტმა ზუგდიდელ მაყურებელში, განსაკუთრეით კი დევნილ საზოგადოებაში დიდი აღფრთოვანება და ოვაციები გამოიწვია.

5 და 14 ივნისს, ა(ა)იპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი №1“ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სკოლის ადმინისტრაციამ ორი საიუბილეო კონცერტი ჩაატარა. სკოლის საიუბილეო კონცერტზე მოხდა არა მხოლოდ დევნილობის პერიოდში სკოლის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის წარმოდგენა, არამედ ქართულ-აფხაზური შემოქმედებისა და კულტურის პრეზენტაციაც, შესრულდა აფხაზური ხალხური სიმღერები და ცეკვები.

აღსანიშნავია, რომ ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი №1“ ღირსეულად ატარებს მის სახელს და აგრძელებს ჯერ კიდევ სოხუმში არსებული №1 და №2 სამუსიკო სკოლების ტრადიციებს. სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგების დიდი ნაწილი აფხაზეთიდან დევნილ მოსახეობას შეადგენს.

20-23 აპრილის ჩათვლით შპს სტუდია „შავნაბადა“ მიწვეული იყო ქ. სატმბოლში, სადაც ანგლიკანურ ეკლესიში შედგა ანსამბლის სოლო კონცერტი, ხოლო 22 აპრილს კი ჩატარდა ქართულ - აფხაზური მუსიკის მასტერკლასი, რომელსაც ადგილობრივ მუსიკოსებთან ერთად, ქართველები და აფხაზებიც ესწრებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ანსამბლმა შეასრულა ყველა კუთხის, მათ შორის აფხაზური ხალხური სიმღერა და ის პოპულარული მელოდები, რომლებიც განსაკუთრებით უყვარს მსმენელს.

28 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით ქორეოგრაფიული ანსამბლი „დიოსკურია“ მიწვეული იყო ქ. ბათუმში საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე „ოქროს არგო-2018“ მონაწილეობის მისაღებად. ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე ანსამბლი სულ რამდენიმე წელია რაც არსებობს, მან უკვე მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს. ანსამბლს დიდი წვლილი შეაქვს არა მარტო ქართულ-აფხაზური ფოლკლორის განვითარების საქმეში, არამედ ქართველი და აფხაზი თანატოლების დამეგობრებას, მათი კულტურული კავშირების გაღრმავებასაც უწყობს ხელს, ვინაიდან, ანსამბლის ძირითადი საქმიანობა რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებში ქართულ-აფხაზური ქორეოგრაფიული ხელოვნების პოპულარიზაციაა.

მიმდინარე წლის 28 ივნისს, სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“ შპს გამომცემლობა „სიესტას“ მიერ მიწვეული იყო ქ. ქობულეთში საბავშვო წიგნების პრეზენტაციაზე სპექტაკლით „გამარჯობა სოხუმო“. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების - „ჰელადოსი“ და გურამ ოდიშარიას „სოხუმში დაბრუნება“ მოტივებზე შექმნილი სპექტაკლი სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სავიზიტო ბარათია. აფხაზეთიდან დევნილი თეატრი, ომის უმძიმეს შედეგებზე დუმბაძისეული კეთილი იუმორით ესაუბრება მაყურებელს და ქმნის უაღრესად ემოციურ, მუსიკალურ, მაჟორულ, მშვიდობისმოყვარე წარმოდგენას.

ამ სპექტაკლის ჩვენებამ, აჭარის რეგიონში ისტორიულად მცხოვრები აფხაზი და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობისათვის, ხელი შეუწყო არა მხოლოდ ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაციას, არამედ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენასაც.

31 ივლისს გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელამ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გაიმართა კონცერტი სახელწოდებით - "უკვდავი ქართული ჰანგები" ზვიად ბოლქვაძესა და აფხაზეთის კაპელასთან ერთად. კონცერტში ასევე მონაწილეობდნენ: ნუკრი კაპანაძე და სოფო ბათილაშვილი. კონცერტის გამართვამ ხელი შეუწყო დევნილი კოლექტივის საგუნდო და საშემსრულებლო ხელოვნების წარმოჩენასა და ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზებას. დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცა გასცნობოდა ქართული საგუნდო მუსიკის შედევრების ახლებურ ვერსიას, რომელიც მაესტრო ზვიად ბოლქვაძის მიერ იქნა დამუშავებული სპეციალურად საგუნდო კოლექტივისთვის.

19 აგვისტოდან 24 აგვისტოს ჩათვლით ფოლკლორული ცეკვის ჯგუფის „კიდევაც დაიზრდებიან“ წამყვანი სოლისტ-მოცეკვავე ანასტასია აქუბარდია მიწვეული იყო საბერძნეთში ქ. ლუტრაკში, დიდი ფოლკლორული ცეკვების დღეების ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად. საბერძნეთში დიდი ფოლკლორული ცეკვების დღეების ფესტივალი „ელენი ლამნიატი“ ტრადიციულიად მრავალი წელია იმართება. მასში მონაწილეობას ღებულობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ქორეოგრაფიული ანსამბლები, რომლებიც თავიანთ ეროვნულ კულტურას წარმოაჩენდნენ. ანასტასია აქუბარდიამ ანსამბლთან ერთად შეძლო ქართულ-აფხაზური ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმოჩენა და პოპულარიზაცია.

2 სექტემბრიდან 12 სექტემბრამდე ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდმა „ლირა“ ქ. ბათუმში გამართა კლასიკური მუსიკის ფესტივალი. ფესტივალის ფარგლებში 5 სექტემბერს ქართველი მწერლის გურამ ოდიშარიას ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამო „ჩემი სოხუმი“ გაიმართა. საღამოზე სიტყვით გამომსვლელებმა ისაუბრეს გურამ ოდიშარიას მიერ ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღსადგენად გადადგმულ ნაბიჯებზე, მის დიდ ღვაწლზე სახალხო დიპლომატიის ეგიდით წარმართულ ქართულ-აფხაზური შეხვედრების ორგანიზებაში.

საღამოზე აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „აფხაზეთმა“ ქართული და აფხაზური მუსიკალური ფოლკლორული ნომრები შეასრულა.

კონცერტის ჩატარებით გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი ურთიერთობებისთვის და კულტურული კავშირების დამყარებისთვის. წარმოჩნდა ქართულ-აფხაზური ფოლკლორი და საშემსრულებლო ხელოვნება. ხაზი გაესვა ტრადიციის აღდგენის მნიშვნელობას, რომელიც დაკავშირებულია ქართველებისა და აფხაზების ძმობასა და მეგობრობასთან.

23-30 სექტემბრის ჩათვლით ქართული კულტურის სახლის „ჩვენებურების“ მიერ შპს სტუდია „შავნაბადა“ მიწვეული იყო ქ. სტამბოლში, სადაც ქართულ-აფხაზური მუსიკის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა მასტერკლასები, კონცერტები და შეხვედრები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართველებმა და აფხაზებმა ერთდროულად შეისწავლეს ქართულ-აფხაზური ხალხური სიმღერები, რამაც ხელი შეუწყო ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიაზციას საზღვარგარეთ. დაიგეგმა სამომავლო შეხვედრები და შემოქმედებითი ურთიერთობები.

საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრის „აფხაზეთი“ მეშვეობით აფხაზეთის სახელოვნებო, საჯარო სკოლებისა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებისათვის სასწავლო-აუდიო წიგნების შეძენა საშუალებას მისცემს დევნილ მოზარდებს მიიღონ სრულფასოვანი სახელოვნებო განათლება და ეზიარონ ქართველი და აფხაზი პოეტების, მწერლების ნაწარმოებებს სასწავლო-აუდიო წიგნების სახით. ეს შესაძლებლობა კი თავისთავად გულისხმობს ქართულ-აფხაზური კულტურის, განსაკუთრებით კი მწერლებისა და პოეტების პოპულარიზაციას. რაც ხელს შეუწყობს ქართველი და აფხაზი თანატოლების დამეგობრებას, მათ სულიერ აღზრდას და კულტურული კავშირების უფრო მეტად გაღრმავებას.

28-30 სექტემბერს, სსიპ გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა მიწვეული იყო მარტვილის რაიონში, სალხინოს დადიანთა საშემოდგომო სასახლეში, კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე „სალხინოს სასახლის კამერატა“. კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი „დღეს“ მეოთხე წელია რაც ახორციელებს ამ საერთაშორისო კულტურულ პროექტს, რომლის ფარგლებშიც პირველად იქნა მიწვეული აფხაზეთის საგუნდო კოლექტივი. ამ ხნის განმავლობაში ფესტივალმა სხვადასხვა ქვეყნის ორმოცდაათამდე მუსიკოს უმასპინძლა. წელს კი მონაწილეობდნენ ისეთი მუსიკოსები როგორიცაა: ალექსანდრე კორსანტია, თამარ ლიჩელი. მათ გვერდით ერთ სცენაზე აფხაზეთის საგუნდო კაპელამ წარმოადგინა თავისი პროგრამა.
14 ნოემბერს, სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“ სსიპ ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ხელმძღვანელობის მიერ მიწვეული იყო ქ. ჭიათურაში ქართულ-აფხაზური კულტურის საღამოზე, სადაც ადგილობრივი მაყურებლის წინაშე წარსდგა სპექტაკლით. შემოქმედებით კოლექტივს საშუალება მიეცა კულტურულ-შემოქმედებითი ურთიერთობები გაეღრმავებინა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის თეატრებთან. ახალი კონტაქტების დამყარებამ კი უფრო მეტად შეუწყო ხელი ფართო მასებში ქართულ-აფხაზური კულტურის წარმოჩენას.

ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტის, არაერთი პრემიისა და ჯილდოს მფლობელის, დიმიტრი ჯაიანის სახელის უკვდავსაყოფად შეიქმნა დოკუმენტური ფილმი, რომელიც წარმოაჩენს ხელოვანის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მასში გამოყენებული საარქივო ფოტო-ვიდეო მასალები მოგვითხრობენ სოხუმის თეატრის, ომისა და შემდგომი პერიოდის შესახებ. საზოგადო მოღვაწეების მოგონებები კი აცოცხლებენ დიმიტრი ჯაიანის, როგორც ქართულ-აფხაზური კულტურის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის სახელს, რომელიც მუდამ ერთგულ გუშაგად ედგა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 20 დეკემბერს, სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“-ს მიწვევა ზესტაფონის კულტურის ცენტრში ქართულ-აფხაზური კულტურის საღამოზე, სადაც თეატრი მოსწავლე-ახალგაზრდობის წინაშე წარსდგა სპექტაკლით. ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრ „თეთრი ტალღა“-ს მიერ, მიუსაფარ ბავშვთა სახლებში მცხოვრები პატარებისათვის საახალწლო წარმოდგენა გამართვის ორგანიზება. თეატრმა ბავშვებისათვის ქართულ-აფხაზური საშობაო ტრადიციები გააცოცხლა, რითაც ხელი შეუწყო ქართულ-აფხაზური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. საახალწლო წარმოდგენის დასასრულს მიუსაფარ ბავშვთა სახლებში მცხოვრებ პატარებს საახალწლო ტკბილეული და თბილი ტანისამოსი დაურიგდათ, რამაც მათ საახალწლო განწყობა შეუქმნა.

ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 წლის დასასრულს შპს სტუდია „შავნაბადამ“ 100 ქართულ-აფხაზური სამუსიკო ნიმუში ჩაწერა, რომლის პრეზენტაციაც 28 დეკემბერს ჯ. კახიძის სახელობის მუსიკალურ ცენტრში შედგა. ფართო საზოგადოებამ ქართულთან ერთად აფხაზური სიმღერების შესრულების უძველესი ვერსიებიც მოისმინა, რამაც ხელი შეუწყო როგორც ქართული, ასევე აფხაზური ხალხური მუსიკის პოპულარიზაციას. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ხალხურ მუსიკაში ჩანს ქართულ-აფხაზური სამუსიკო დიალექტის მსგავსება, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აფხაზური კულტურა ერთიანი ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია.

სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა

1. სპორტულ ინიციატივათა მხარდაჭერის ქვეპროგრამა

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია ახალგაზრდა და ვეტერან სპორტსმენთა ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა და პროპაგანდა, აფხაზეთის სპორტსმენების და მწვრთნელების ხელშეწყობა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, ტექნიკური უნარ-ჩვევების დახვეწა, აფხაზეთის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ეხმარება დევნილი სპორტსმენებს სასწავლო-საწვრთნო შეკრებებში, ქვეყნის ფარგლებში და ფარგლებს გარეთ შეჯიბრებებში მონაწილეობაში, სპორტული ინვენტარისა და ფორმების შეძენაში. ეს

ხელს შეუწყობს სპორტსმენებს სასწავლო-საწვრთნო პროცესის წარმართვაში, სხვადასვა სახის რეგიონალურ და საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობებში მონაწილეობის მიღებაში, რაც იქნება მოსამზადებელი ეტაპი, რათა აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენები მოხვდნენ საქართველოს ნაკრებ გუნდებში და ღირსეულად წარმოაჩინონ ქვეყნის სახელი.

შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა საკალათბურთო კლუბის „სოხუმი“ სპორტსმენების მგზავრობა ქ. ქუთაისში, საქართველოს სუპერლიგის 2017-2018 წლის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად.

განხორციელდა 46 ცალი სპორტული ფორმის და 6 ცალი ბურთის შეძენა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2018“-ის აფხაზეთის სკოლის გუნდების რეგიონალურ ფინალურ თამაშებში მონაწილეობისათვის. ქვეპროგრამის ფარგლებში **ასევე დაფინანსდა:**

1) აფხაზეთის მოფარიკავეთა ნაკრების წევრი სპორტსმენების ქ. ანტალიაში (თურქეთი) საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა, სპორტული ოსტატობის ამაღლებისა და გამოცდილების მიღების მიზნით
2) საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის პროექტი “მეგობრობა გზად და ხიდად“, სადაც სხვადასხვა მასობრივ სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილმა ბავშვებმა და ვეტერანმა სპორტსმენებმა.
3) სსიპ აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის მოჭიდავეთა გუნდებისათვის საჭიდაო „ფინკები“-ს შეძენა.
4) საქართველოს მსოფლიო მოღვაწეთა და მოგზაურთა ხელშემწყობი კავშირის „გიორგი“, სპორტის სახეობის -„მენჩურუა“ პოპულარიზაციის მიზნით ლიტერატურული მასალის გამოქვეყნებისათვის დახმარების გაწევა.
5) აფხაზეთის რაგბის ფედერაცია, რაგბის ფესტივალის ჩასატარებლად, რითაც განხორციელდა სპორტის პოპულარული სახეობის „რაგბის“ განვითარების ხელშეწყობა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო საქართველოსა და აფხაზეთიდან დევნილმა სპორტსმენებმა ასევე აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან „გალი“ გადმოსულმა
6) წლიური ლიცენზიის გადასახადით ბერძნულ-რომაული ჭიდაობაში აფხაზეთის სახელით მოასპარეზე სპორტსმენი ლუკა გეჯაძე
7) სსიპ აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის ძალოსანთა გუნდი.
8) აფხაზეთიდან დევნილი, მრავალგზის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის ძალისმიერ სამჭიდში ირაკლი ცხოვრებაშვილის ევროპის თასზე მონაწილეობა, სადაც ირაკლი ცხოვრებაშვილმა ევროპის თასზე მონაწილეობისას 90 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა 1 ადგილი და დაამყარა მსოფლიო რეკორდი .
9) დევნილ მორაგბეებისათვის 25 წყვილი სპორტული ფორმის შეძენა.
10) აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდა ძიუდოისტების სიმონ ფეიქრიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა.

11) საქართველოს ამპუტანტთა ასოციაციის მიერ ტრადიციულად ორგანიზირებული, აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებებისას დაღუპულ მეომართა ხსოვნის ტურნირი „აფხაზეთის თასი“.

12) სსიპ აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის საფეხბურთო გუნდისათვის სპორტული ფორმის შეძენა.

13) ბავშვთა საფეხბურთო სკოლა ,,აფხაზეთი“, რომელიც დაკომპლექტებულია ძირითადად დევნილი სპორტსმენებით, საქართველოს 2018-2019 წლის ეროვნულ ასაკობრივ ჩემპიონატებში ღირსეულად მონაწილეობის ხელშეწყობისათვის.

14) ააიპ ,,ახალგაზრდული მედია -კავშირი“, რომლის პროექტი ითვალისწინებდა შშმ პირთა ჩართულობას სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში. პროექტი ასევე ითვალისწინებდა შშმ პირთა მიერ ჩატარებული ღონისძიების ვიდეორგოლის მომზადებასა და და კალენდრის გამოცემას.

15) აფხაზეთის რაგბის ფედერაცია, რომელმაც ორგანიზება გაუწია რაგბის ფესტივალის მაღალ დონეზე ჩატარებას. ფესტივალში მონაწილეობას ღებულობდნენ აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენები ასევე აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული მოზარდები.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაეწია ასევე აფხაზეთის კალათბურთის ფედერაციას. ასევე სსიპ აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრს, რომელმაც სამინისტროს დაფინანსებით მოაწყო ღვაწლმოსილი სპორტსმენების სურათების გამოფენა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე სპოტსმენების მგზავრობის დაფინანსება. ასევე მოხდა აფხაზეთის ოკუპირებული გალის რეგიონში არსებული 30 სკოლისათვის სპორტული ინვენტარის შეძენა.

ტურნირები და აფხაზეთის ღია პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

ქვეპროგრამის ფარგლებში **გაიმართა:**

1) საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ამირან მაისურაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში .

აფხაზეთიდან წარმოდგენილი იყო ზემო აფხაზეთის გუნდი და დაბა წყნეთის საჭიდაო ბაზაზე არსებული გუნდი. შეჯიბრება ჩატარდა 2003-2005 ასაკობრივ 14 წონით კატეგორიაში:

ტურნირის შედეგების მიხედვით აფხაზეთიდან დევნილმა სპორტსმენებმა დაიკავეს სხვადასხვა საპრიზო ადგილი.

საპრიზო ადგილზე გასული ყველა სპორტსმენი დაჯილდოვდა შესაბამისი კატეგორიის დიპლომით და მედლით. პირველადგილოსნები დაჯილდოვდნენ ასევე თასებით.

2) აფხაზეთის ღია პირველობა მძლეოსნობაში. აღნიშნულ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მძლეოსნებმა. თითოეული სპორტსმენი მონაწილეობდა პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა სახეებში. დაძაბულ ასპარეზობებში გამოვლინდნენ გამარჯვებული და პრიზიორი

სპორტსმენები. პირველობა ჩატარდა მძლეოსნობის შემდეგა სახეებში: სიგრძეზე ხტომა რბენა 1000 მ. რბენა 100 მ. ჭოკითხტომა სამმხტომი ბადროს კვრა. აფხაზეთის ღია პირველობაში გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით და დიპლომებით.

3) აფხაზეთის ღია პირველობა ფარიკაობაში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონების, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის ფედერაციის (ვლადიკავკაზი) საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლების შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები, რომლებიც დაჯილდოვდნენ აფხაზეთის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს დიპლომებით, თასებით და მედლებით.
4) დ) გენო ზარიას სახელობის ტურნირი მინი-ფეხბურთში. ღონისძიების შედეგი: ამ ტიპის სპორტული ასპარეზობები ხელს უწყობს დაწესებულებებში საჯარო მოხელეების დაახლოებას, აფხაზეთის ა.რ. საჯარო დაწესებულებების მუშაკთა შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების ამაღლებას და მეგობრული ურთიერთობების გამყარებას.
5) ტურნირი ჯომარდობაში - აფხაზეთის თასზე, სადაც მონაწილეობა მიიღო ასზე მეტმა ბენეფიციარმა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების გუნდებმა, აფხაზეთის სპორტული ფედერაციების გუნდებმა.

6) ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც აფხაზეთიდან წარმოდგენილი იყო ზემო აფხაზეთის გუნდი და დაბა წყნეთის საჭიდაო ბაზაზე არსებული გუნდი. შეჯიბრება ჩატარდა 14 წონით კატეგორიაში:
საპრიზო ადგილზე გასული ყველა სპორტსმენი დაჯილდოვდა შესაბამისი კატეგორიის დიპლომით და მედლით. პირველადგილოსნები დაჯილდოვდნენ ასევე თასებით.

7) გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნოდარ დარახველიძის სახელობის ტურნირი კალათბურთში, სადაც აფხაზეთიდან წარმოდგენილი იყო საკალათბურთო გუნდი „სოხუმი“ რომელმაც დაიკავა საპატიო პირველი ადგილი. შეჯიბრება ჩატარდა ოლიმპიური სისტემით. საპრიზო ადგილზე გასული ყველა სპორტსმენი დაჯილდოვდა შესაბამისი კატეგორიის დიპლომით და მედლით. პირველადგილოსნები დაჯილდოვდნენ ასევე თასებით.

8) ქ.თბილიში, ჭადრაკის სასახლეში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით, საქართველოს ჭადრაკის ფედერაცის მხარდაჭერით ჩატარდა აფხაზეთის ღია პირველობა ჭადრაკში (სწრაფი ჭადრაკი). აფხაზეთის ღია პირველობაზე ჭადრაკში მონაწილეობა მიიღეს დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებში მცხოვრები მოსწავლეებით დაკომპლექტებულმა ჭაბუკთა და გოგონების გუნდებმა, ასევე მოწვეულმა სპორტსმენებმა. ჭადრაკის ტურნირზე დაძაბულ პაექრობაში გამოვლინდენ გამარჯვებულები, საპრიზო ადგილზე გასული ყველა სპორტსმენი დაჯილდოვდა შესაბამისი კატეგორიის დიპლომით და მედლით. პირველადგილოსნები დაჯილდოვდნენ ასევე თასებით.

9) ჩატარდა **აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის ტურნირი ძიუდოში.** შეჯიბრება გაიმართა 14 წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილზე გასული ყველა სპორტსმენი დაჯილდოვდა შესაბამისი კატეგორიის დიპლომით და მედლით. პირველადგილოსნები დაჯილდოვდნენ ასევე თასებით.

ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა დაჯილდოვება

თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის შენარჩუნება მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის სპორტის განვითარებისათვის. ამიტომ მნიშვნელოვანია დამსახურებულ სპორტის მოქმედი და ვეტერან მუშაკთა დამსახურების შესაბამისად მათი პოპულარიზაცია და საზოგადოების ინფორმირებულობა.

მიზანი: ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების მიზანია აფხაზეთის სპორტის ვეტერან და დამსახურებულ სპორტსმენთა წახალისება, დახმარება და მათი პოპულარიზაცია რაც ხელს შეუწყობს აფხაზეთის სპორტის ტრადიციული სახეების პოპულარიზაციასა და განვითარებას.

მოსალოდნელი შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სიგელი და ფასიანი საჩუქრები გადაეცა აფხაზეთის სპორტის დამსახურებულ ვეტერან მუშაკებსა და სპორტსმენებს:

1. მიხეილ ჯიშკარიანი,
2. სოსო მალანია,
3. დავით ხურცია,
4. სიმონ დარახველიძე,
5. მიხეილ ცანავა,
6. ვაჟა რეჭია,
7. მარიამ ჭანტურია,
8. ზურაბ სოხაძე,
9. ლაშა მიქავა.

გალის რაიონის (კონფლიქტის ზონა) სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე აფხაზეთში დარჩენილ მოქალაქეებს რთულ პირობებში უხდებათ ყოფნა. ისინი მუდმივად განიცდიან ზეწოლას სეპარატისტული ხელისუფლებისა და საოკუპაციო ძალების მხრიდან. მიუხედავად მრავალი

ხელისშემშლელი ფაქტორისა, გალის რაიონში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღები, მუსიკალური და სამხატვრო სკოლები, რომელთა პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური მუშაკები მაქსიმალურად ცდილობენ გაატარონ საქართველოს განათლების სისტემის პოლიტიკა და არ ჩამორჩნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ამიტომაც, ისინი მუდმივად უნდა გრძნობდნენ ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან როგორც მორალურ მხარდაჭერას, ასევე კონკრეტულ დახმარებას.

პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ, გალის რაიონში მცხოვრები სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერა.

შედეგი:

გალის რაიონის (კონფლიქტის ზონა) სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამის ფარგლებში მეოთხე კვარტალში დაფინანსდა გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, მუსიკალური და სამხატვრო სკოლების 152 ბენეფიციარი: პედაგოგი - 78, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი - 74.

აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა

პროგრამა ხელს შეუწყობს აფხაზეთის მრავალსაუკუნოვანი კულტურული და უნიკალური ბუნებრივი მემკვიდრეობის მრავალფეროვნების მნიშვნელობის გაცნობიერებას და მისი როგორც საერთო იდენტობის ნაწილის გააზრებას ქართულ კულტურასთან მიმართებაში.

აღნიშნულ პროგრამაში ჩართულნი იქნებიან დიპლომატიური კორპუსი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოება, ახალგაზრდები, მემკვიდრეობის სფეროს სხვა ინტერესთა ჯგუფები და სკოლის მასწავლებლები, რომლებიც მიიღებენ უახლეს ინფორმაციას აფხაზეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის შესახებ. პროგრამის ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის სფეროში გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და ორგანიზაციებთან, იქნება მცდელობა დაიწყოს მუშაობა ერთიანი სამოქმედო სტრატეგიის შემუშავებაზე.

აღნიშნულ პროგრამებში მონაწილე ახალგაზრდები მიღებენ ინფორმაციას აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა შესახებ და გააცნობიერებენ, რომ - ახალგაზრდობა ის თაობა რომელმაც მომავალში უნდა უზრუნველყოს აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია და თავის მხრივ მისი მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და გადაცემა.

,,აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილ იქნა პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, შემდეგი ქვეპროგრამები:

ქვეპროგრამა: „სამეცნიერო კონფერენცია“

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებელი პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

კონფერენცია გაიმართება თემაზე ,,კულტურული მემკვიდრეობა კონფლიქტურ ტერიტორიებზე“ მომზადდება კონფერენციის დებულება და მონაწილეობის მსურველთა სარეგისტრაციო ანკეტა (ქართული, ინგლისური) და დასამტკიცებლად წარედგინება აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრს, რის შემდეგ განთავსდება სამინისტროს ვებ-გვერდზე. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწე მეცნიერები/მომხსენებლები, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ უახლეს შრომებს აფხაზეთის თემატიკასა და აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით, ამ კუთხით ამჟამად არსებული მდგომარეობის აღწერითა და შეფასებებით. კონფერენციაზე ოფიციალურად მოწვეული იქნებიან ამ მიმართულებით მომუშავე სამთავრობო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეცნიერო დაწესებულებები და სხვა. კონფერენციაზე წარმოდგენილი შრომები გამოიცემა კრებულად და გავრცელდება სამეცნიერო წრეებში, დაეგზავნება ყველა დიდ ბიბლიოთეკას, უნივერსიტეტს, ასევე აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლების სამკითხველოებსა და ოკუპირებული გალის რაიონში განთავსებულ საშუალო სკოლებს, ასევე თითოეულ მონაწილეს გადაეცემა კრებულის 2 ეგზემპლარი.

შედეგები:

დამტკიცდა „კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამის - ქვეპროგრამის „სამეცნიერო კონფერენცია“ დებულება და კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მსურველთა სარეგისტრაციო ანკეტა;

სამეცნიერო კონფერენციაში სხვადასხვა მხარის ჩართულობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით წერილობითი ფორმით მიემართა სხვადასხვა უნივერსიტეტების რექტორებს, ასევე საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორსა და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის დირექტორს. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მსურველთა 18 (თვრამეტი) განაცხადიდან, კონფერენციის მომხსენებლად თემების მნიშნველობის მიხედვით შეირჩა 12 გამომსვლელი. სამეცნიერო კონფერენციის: - „კულტურული მემკვიდრეობა კონფლიქტურ ტერიტორიებზე“ დასასრულს მომხსენებლებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები. დაიბეჭდა სამეცნიერო მასალები, რომელიც დაეგზავნება საკითხით დაინტერესებულ პირებს.

შედეგების შესრულების შეფასების კრიტერიუმები - კონფერენციაში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები; კონფერენციის დღეს გამოცხადებულთა რეგისტრაციის მონაცემები; კონფერენციის მიმდინარეობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა; მედია საშუალებებით გავრცელებული სიუჟეტი; პრესის ფურცლებზე განთავსებული ინფორმაცია; კონფერენციის კრებული.

1. ქვეპროგრამა: „აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა პოპულარიზაცია-საზღვარგარეთ"

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციის შედეგად ჩვენ მკვლევარებს არ აქვთ შესაძლებლობა აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის მონახულებისა და შესაბამისად კვლევითი სამუშაოების ჩატარების. სწორედ ამიტომ გარდაუვალი გახდა თავის დროზე არსებული მასალების ხელახალი გამოცემა და განახლება, ვინადიან აღნიშნული წიგნი ერთ-ერთი ყველაზე მიუკერძოებელი და სრულყოფილი ნაშრომია აფხაზეთის ხუროთმოძღვრების კვლევის დარგში. იგი დღემდე აფხაზეთის ხუროთმოძღვრების შემსწავლელთათვის ძირითად გზამკვლევად მიიჩნევა.

მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ორ აქტივობას:

- ლევან (ლეო) რჩეულიშვილის 1988 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის - Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии თარგმნას ქართულ ენაზე და ხელახლა გამოცემას განახლებული ილუსტრაციებით.
- ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ალბომის გამოცემა.

ახალი გამოცემები მეტად დიდ მნიშვნელობას იღებს, როგორც სამეცნიერო თვალსაზრისით, რამეთუ იგი შესაძლებელია გამოყენებული იქნას, როგორც ინდიკატორი, ომამდე არსებული და ამჟამად არსებული მდგომარეობის შესაფასებლად. ოკუპანტების მიერ განხორციელებული ვანდალური ქმედებების სწორად განსაზღვრისათვის, ხოლო სამეცნიერო თვალსაზრისით, მეცნიერულ ბრუნვაში შემოვა, წონადი ნაშრომი, რომელიც თავის დროზე მცირე ტირაჟით იქნა გამოცემული.

შედეგები:

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში ლევან რჩეულიშვილის საარქივო მასალებზე მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა წიგნის სრულყოფილად გამოცემა;

ლევან (ლეო) რჩეულიშვილის 1988 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი - Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии ითარგმნა ქართულ ენაზე და ხელახალი გამოცემა შეივსო დამატებით ახალი ილუსტრაციებით; ხელახალი გამოცემა - „VIII-X საუკუნეების გუმბათოვანი ხუროთმოძღვრება აფხაზეთში" წარმოდგენილია ორ ქართულ და რუსულ

ენაზე, მათ შორის ხელახალი გამოცემის რეზიუმე ითარგმნა გერმანულიდან ინგლისურ ენაზე.
ასევე დასრულდა მუშაობა ალბომის „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთი - მოკლე მიმოხილვა“ გამოცემაზე, რომელშიც შესულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების ილუსტრაციები. ალბომში აფხაზეთის ა/რ მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა წარმოდგენილია უახლესი ფოტო-მასალით, ამ ეტაპზე გამოცემის ძირითადი ნაწილი დაეთმო აფხაზეთის ა/რ არამატერიალური კულტურულ მემკვიდრეობას, რომლებიც დღესდღეობით დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში;

ქვეპროგრამა: კულტურულ-საგანმანათლებლო საველე ბანაკი აფხაზეთიდან დევნილი მოზარდებისათვის

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებელი პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

ქვეპროგრამის მიზანია, მოზარდებში სამშობლოს სიყვარულისა და პატრიოტული გრძნობის გაძლიერება, ახალგაზრდებში კულტურული და ისტორიული ნეგებობების შესახებ და ეკოცნობიერების შესახებ განათლების დონის ამაღლება. საქართველოს ბუნების გაცნობა, ისტორიული ძეგლების მონახულება და ა. შ.

პროექტი ხელს შეუწყობს მოზარდებში გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
მოზარდები გაიღრმავებენ და გადაამოწმებენ საკუთარ ცოდნასა და შესაძლებლობებს;

შედეგი:

სენაკის რაიონში, კერძოდ სოფელ ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე მოეწყო კარვების ქალაქი (ხანგრძლივობა 5 დღე), რომელშიც განთავსდნენ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოზარდები. მათ შორის მონაწილეობდნენ ქ. თბილისის საჯარო სკოლების ის მოსწავლეები, რომლებმაც ცოტა ხნით ადრე სამინისტროს მიერ გამართულ ახალგაზრდულ კონფერენციაში - „აფხაზეთი - წარსული და დღევანდელობა“ თავი გამოიჩინეს. (სკოლის მოსწავლეები -41).
მოსწავლე-ახალგაზრდები უზრუნველყოფილი იყვნენ კვებით, საძილე ტომრებით, ე.წ. პარალონებითა და კარვებით;
პროექტის ფარგლებში მოსწავლეებისათვის განხორციელდა მრავალმხრივი აქტივობები, როგორც შემეცნებითი აგრეთვე სპორტულ-გასართობი შინაარსის, რომლის განხორციელებაშიც ჩვენ პარტნიორი ორგანიზაციის - "კოდის სათემო განათლების ცენტრი"-ს წარმომადგნელები იყვნენ ჩართულნი, რომელთაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ახალგაზრდებთან სამოქალაქო-შემეცნებითი აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების თვალსაზრისით.
მოზარდები დაესწრნენ ამ ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიურ სამუშაოებს, რომელსაც ბრიტანული ექსპედიცია ხელმძღვანელობს და მიიღეს ინფორმაცია არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებისა და აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის დათარიღების შესახებ. მოაწყვეს ლაშქრობა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ ძეგლებზე.

ქვეპროგრამა: ფოტოკონკურსი „აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები“

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებელი პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადდება ფოტოკონკურსი, გამოქვეყნდება ფოტოკონკურსის ცირკულარი. კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ოკუპირებული გალის მუნიციპალიტეტის საშუალო სკოლის მოსწავლეები და ზოგადად დაინტერესებული პირები მიუხედავად მათი ასაკისა და მოქალაქეობისა. ისინი თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, კონკურსის ცირკულარის მოთხოვნების შესაბამისად განახორციელებენ აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფოტო ფიქსაციას.

ფოტოკონკურსის ფარგლებში, სამინისტროში სპეციალურად შექმნილი კომისია გამოავლენს გამარჯვებულებს, რომლებიც დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით.

კონკურსი საშუალებას მისცემს იმ მოქალაქეებს, რომლებსაც შეუძლიათ აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე მიმოსვლა, დააფიქსირონ ძეგლების ამჟამინდელი მდგომარეობა და მიიღონ კონკურსით გათვალისწინებული პრიზები/ფასიანი საჩუქრები. მნიშვნელოვანია, რომ მოპოვებული ფოტომასალის საფუძველზე განახლდება აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობებისათვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების პროცესი.

შედეგები:

ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში დარეგისტრირდა 5 (ხუთი) განაცხადი; ფოტოკონკურსში მონაწილე პირების მიერ გამოგზავნილი იქნა ანაკოფის ციხის, ახალი ათონის ეკლესიის, ჭუბურხინჯის წმინდა გიორგის სახ. ეკლესიის, სათანჯოს ჯიხას (ჭუბურხინჯი); ფიჩორის ეკლესიის; ალოიზის სასახლის; არქიტექტურული ნაგებობისა (საცხოვრებელი სახლი) და სოფელი წარჩეს ორი ეკლესიის ამსახველი ისეთი ფოტო-მასალა, რომელიც ამ ტაძრების ამჟამინდელ მდგომარეობას ზუსტად აღწერს და რომელიც ამ დრომდე სამინისტროს არ ჰქონდა.

ფოტოკონკურსის ფარგლებში, სამინისტროში სპეციალურად შექმნილმა კომისიამ გამოავლინა

3 გამარჯვებული, რომლებიც დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით (მობილური ტელეფონი).

შედეგების შესრულების შეფასების კრიტერიუმები - ქვეპროგრამის ფარგლებში მიღებული ფოტომასალა; მედია საშუალებებით გავრცელებული სიუჟეტი; პრესის ფურცლებზე განთავსებული ინფორმაცია; ღონისძიების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა; სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია; საპრიზო ნივთების შეძენისათვის საჭირო ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი; ქვეპროგრამის ანგარიში.

„აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობების ონლაინ რუკა“

(ქვეპროგრამის კოდი 06/10/10)

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებელი პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

ამჟამინდელი მდომარეობით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რის გამოც აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად. მათზე ზრუნვის პირდაპირ ბერკეტები არ გაგვაჩნია. საჭიროა შეიქმნას გარკვეული ბაზა და ინსტრუმენტები, რაც გაადვილებს ამ მიმართულებით მოქმედებას.

1. **ქვეპროგრამის მიზნები**

აღნიშნული ქვეპროგრამის მიზანია შექმნას მოქნილი ინსტრუმენტი, რომლის გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ ამ თემაზე მომუშავე ისტორიკოსებს, ტურისტებს, პედაგოგებს, მასწავლებლებს და ა. შ. რაც მათ გაუმარტივებთ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოძიების შესაძლებლობას.

ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს:

აფხაზეთის ძეგლების ამჟამინდელი მდგომარეობის აღქმას და მათ სისტემატიზაციას;

აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების და სამეცნიერო წრეების ინფორმირებულობის ამაღლებას;

ადგილობრივ დონეზე აფხაზეთის ძეგლების უკეთ წარმოჩენას;

3. **შედეგები**

„აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობების ონლაინ რუკის“ ელექტრონული ვერსიის დახმარებით, ქვეპროგრამის ფარგლებში მომზადდა და დაიბეჭდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობების დეტალური რუკა, რომელზეც დატანილია აფხაზეთში არსებული ყველა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი შესაბამისი აღნიშვნებით, კოორდინატებითა და მისი მდგომარეობის გათვალისწინებით განმასხვავებელი ფერებით.

ეკონომიკის სფერო

ბიზნეს სექტორი

2018 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიზნეს სექტორის ორგანიზაციებში, რომელთაც მართავს როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ასევე სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტო", საშუალოდ 1 548 (მ.შ. IV კვარტალში – 1 555) კაცი მუშაობდა. დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებამ ამ პერიოდში სულ შეადგინა 17 846,6 (მ.შ. IV კვარტალში – 5 181,4) ათასი ლარი, საშუალო ხელფასის ოდენობამ თვეში – 1 282,6 (მ.შ. IV კვარტალში – 1 359,5) ლარი.

დიაგრამა № 4: საშუალო თვიური ხელფასების შედარება 2018-2017 წ.წ. მოქმედ ფასებში



როგორც №4 დიაგრამიდან ჩანს, 2018 წლის საშუალო ნომინალური ხელფასი თვეში ერთ მომუშავეზე დაფიქსირდა 1 282,6 ლარის დონეზე, რაც 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან (937,9 ლარი) შედარებით გაიზარდა 36,6 პროცენტით.

პროდუქციის ბრუნვა[1] და გამოშვება[2]

2018 წელს ბიზნეს საწარმოთა მიერ პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება განისაზღვრა 105 300,2 (მ.შ. IV კვარტალში – 15 696,6) ათასი ლარით.

---

[1]**პროდუქციის ბრუნვა** – არის საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური ერთეულის მიერ განხორციელებული გაყიდვები ანუ დარიცხული შემოსავლები საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან (ბარტერის ჩათვლით). ბრუნვა მოიცავს ყველა გადასახადსა თუ ბაჟს საქონელსა და მომსახურებაზე (დღგ-ისა და აქციზის გარდა). მასში ჩაირთვება აგრეთვე ყველა ხარჯი (სატრანსპორტო, შეფუთვის და ა.შ.), რომლებიც დაეკისრება მყიდველს. ფასთა დაწევა, ფასდაკლებები თუ ფასდათმობები, აგრეთვე დაბრუნებული ტარის ღირებულება შეიძლება გამოირიცხოს ბრუნვიდან (ნაღდი ანგარიშსწორებისას მხოლოდ ფასდაკლებების გამორიცხვით). ბრუნვაში არ ჩაირთვება აქტივების გაყიდვა, აგრეთვე სუბსიდიები.

[2]**პროდუქციის გამოშვება** – განსაზღვრავს ეკონომიკური ერთეულის მიერ ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის რაოდენობას და რეალიზებული პროდუქციის მოცულობას, გადაყიდვისათვის შეძენილი საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილებების ჩათვლით.

დიაგრამა № 5: პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2018-2017 წ.წ.





დიაგრამიდან №5 ჩანს, რომ 2018 წელს პროდუქციის ბრუნვა და გამოშვება 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (73 897,3 ათასი ლარი) გაიზარდა 31 402,9 ათასი ლარით ანუ 42,5 პროცენტით.

საანგარიშო პერიოდში პროდუქციის ბრუნვისა და გამოშვების საერთო მოცულობაში ძირითადი წილი (99,3%) მოდის ენერგეტიკაზე – 104 578,8 (მ.შ. IV კვარტალში – 15 500,0 8) ათასი ლარი, ხოლო დანარჩენ საწარმოებზე – 1 516,4 (მ.შ. IV კვარტალში – 397,3) ათასი ლარი მათ შორის სამედიცინო პროფილის (პოლიკლინიკები) – 1 496,9 (მ.შ. IV კვარტალში – 397,3) ათასი ლარი.

2017 წელს ენერგოსაწარმოებმა (შპს ,,ენგურჰესი“ და შპს ,,ვარდნილჰესების კასკადი“) წინასწარი მონაცემებით სულ 4 722,7 (მ.შ. IV კვარტალში – 697,4) მლნ.კვტ.სთ ელექტროენერგია გამოიმუშავეს. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (4 433,6 მლნ. კვტ.სთ.) ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა 6,5%-ით.

დიაგრამა № 6: ენერგოსაწარმოების მიერ გამომუშავებული პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2018-2017 წ.წ.



დიაგრამა № 7: საშუალო თვიური ხელფასების შედარება 2018-2017 წ.წ.



საანგარიშო პერიოდში ამ საწარმოებში დასაქმებული იყო სულ 1 158 (მ.შ. IV კვარტალში – 1 173) კაცი, რომელთა საშუალო ხელფასი თვეში განისაზღვრა 1 175,2 (მ.შ. IV კვარტალში – 1 359,5) ლარით, რაც 4,5 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1 120,6 ლარი) შედარებით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ სახელმწიფო წილით დაფუძნებული საწარმოების ფუნქციონირების შედეგები

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მართვაშია 17 შპს. 14 საწარმო წარმოადგენს სამედიცინო პროფილის დაწესებულებას (პოლიკლინიკები), რომელთაგან 7 მდებარეობს ქ. თბილისში. 7 პოლიკლინიკა განლაგებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ:

- ქუთაისში - შპს ,,დევნილთა საოჯახო ცენტრი ,,ბიჭვინთა“;
- წალენჯიხაში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ ჯვრის ამბულატორია“;
- ხობში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ ხობის პოლიკლინიკა“;
- წყალტუბოში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ წყალტუბოს პოლიკლინიკა“;
- სენაკში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ სენაკის პოლიკლინიკა“;
- ზუგდიდში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ ზუგდიდის პოლიკლინიკა“;
- ფოთში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ ფოთის პოლიკლინიკა“.

2018 წელს, წინასწარი მონაცემებით, შპს-ების საერთო შემოსავალმა შეადგინა 2 093 165 ლარი, მოგებამ – 60 971 ლარი, წმინდა მოგებამ – 51 825 ლარი. ხარჯები განისაზღვრა 2 062 165 ლარით. მოგების გადასახადმა შეადგინა 9 146 ლარი, მოგების თანაფარდობამ შემოსავალთან – 2,9%.

შპს-ების საერთო შემოსავალი, 2017 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან (2 320 966 ლარი) შედარებით შემცირდა 227 801 ლარით ანუ 9,8%-ით.

2017 წლის მეორე ნახევარსა და 2018 წელს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტმა მოახდინა შპს-ების გარკვეული ნაწილის შემოწმება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. გამოვლენილი დარღვევების გამო მათ დაუწესდათ საჯარიმო სანქციები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს-ების 2018 წლის ფინანსური მოგება 2017 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან (142 863 ლარი) შედარებით შემცირდა 81 892 ლარით, ხოლო წმინდა მოგება (– 121 435 ლარი) – 69 610 ლარით.

სსიპ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის „ბიზნესინკუბატორი“ (შემდგომ – ,,ბიზნესინკუბატორი“) მონაცემებით, სარგებლობაში არსებული ფართებიდან 2019 წლის იანვრისათვის იჯარით დატვირთული იყო 7 298 კვ.მ. ,,ბიზნესინკუბატორში“ მოქმედ კომპანიებში დასაქმებული იყო 88 ადამიანი, აქედან – 21 დევნილი. უშუალოდ სსიპ ,,ბიზნესინკუბატორში“ დასაქმებული იყო 11 პირი.

2018 წლის მაისიდან „ბიზნესინკუბატორი“ ჩაერთო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ შექმნილი ეკონომიკური საბჭოს მუშაობაში, რომლის პირველი გასვლითი სხდომა ჩატარდა ქუთაისში. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ინდოელმა ინვესტორებმა, რომლებმაც 12 განხილული ბიზნეს პროექტიდან 6 მოიწონეს.

2018 წლის მესამე კვარტალში, სსიპ „ბიზნესინკუბატორის“ მიერ სამეგრელოში ჩატარდა სასათბურე კონსტრუქციების ინვენტარიზაცია. დადგინდა, რომ კონსტრუქციები უკლებლივ არის მოიჯარეების განკარგულებაში, თუმცა გამართულად მუშაობს მხოლოდ 26%. კონსტრუქციების ნაწილი დაზიანდა ქარის და თოვლის შედეგად და საჭიროებს აღდგენას. ფაქტიურად 26880 კვ.მ კონსტრუქციიდან აღსადგენია 11320 კვ.მ.

2018 წელს სსიპ ბიზნესინკუბატორმა მოიპოვა საგრანტო დაფინანსება და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან გააფორმა 4 წლიანი საგრანტო ხელშეკრულება პროექტზე „ახალი ტიპის კონუსურ ტურბინიანი ქარძრავა სივრცითი წონასწორობის უზრუნველყოფით“. პროექტში დასაქმდა 10 ადამიანი. ეს პროექტი დიდ პერსპექტივას ხსნის საქართველოში სამამულო ქარძრავების წარმოების ათვისების თვალსაზრისით. წარმოების ათვისება მოხდება ბიზნესინკუბატორში, სადაც ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება.

2018 წელს იჯარის შემოსავლებმა სულ შეადგინა 68 300 ლარი, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს (40 000 ლარი) აღემატება 28 300 ლარით ანუ 70,6%-ით. სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხა შეადგენს 17 225 ლარს.

სოფლის მეურნეობა

2018 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის მუშაობის პრიორიტეტული მიმართულებებს წარმოადგენდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის კუთხით, კოლხური ბზის გადარჩენისა და ,,აზიურ ფაროსანასთან“ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში აქტიური ჩართულობა, დევნილთა დასაქმების ხელშემწყობი აქტივობების გატარება საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, იგპ-ის მუდმივი კონსულტირება საჭიროებების შესაბამისად. ფერმერთათვის პრაქტიკული საქმიანობის

გაადვილების მიზნით რეკომენდაციების მიცემა, სამეცნიერო-ტექნიკური ნოვაციების დამუშვებაში აქტიური ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში გალის რაიონის ტერიტორიაზე ტარდებოდა მოსახლეობის საკუთრებაში არსებული შინაური ცხოველების გეგმიური და არაგეგმიური პროფილაქტიკურ-სამკურნალო ღონისძიებები, განხორციელდა მოსამზადებელი საქმიანობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვის მიმართულებით.

დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ სუბსიდირების პროგრამით გამოყოფილი 20 000 ლარის ფარგლებში, გალის რაიონის ვეტსპეციალისტების მოთხოვნის საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის საშუალებით შეძენილ იქნა 26 სახეობის ვეტმედიკამენტი და ინვენტარი. საანგარიშო პერიოდში, გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე საპროფილაქტიკო-სამკურნალო ვეტმომსახურება გაეწია 40 450 სულამდე შინაურ ცხოველს. შედეგად, დროულად და ეფექტურად ჩატარებული სამუშოების შედეგად ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე ინფექციური დაავადებების კერები არ დაფიქსირებულა;
- კონტროლზე იქნა აყვანილი გალის რაიონში ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ საცხოვრებელი სახლების და სხვა შენობა-ნაგებობების ქიმიური პრეპარატებით დამუშავების უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ქიმიური პრეპარატების გადატანის და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ორგანიზების საკითხები. მოძიებულ იქნა მასალები აფხაზეთში რუსეთის ტერიტორიიდან შემოჭრილ მავნებლებზე (პალმის წითელი გრძელცხვირა, ბზის ალურა და სხვა დარეგისტრირებული ინვაზიური მავნებლები), რომლებმაც უდიდესი ზიანი მიაყენეს დეკორატიულ და ბუნებრივ ნარგავებს შავი ზღვის სანაპიროზე;
- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის აგრარულ პროექტებში და პროგრამებში ჩართულობის განყოფილების მიერ შესწავლილ იქნა დევნილ პირთა საკუთრებაში და სარგებლობის უფლებით არსებული მიწის ფართობები. გალის რაიონის სოფლების მიხედვით ჩამოყალიბდა აგრაული კუთხით ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებათა ნუსხა, რომელიც შემდგომში გამოყენებულ იქნება როგორც სათანადო სახელმწიფო პროგრამების/პროექტების დაგეგმარების, ასევე დონორ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის დროს;
- გალისა და ოჩამჩირის რაიონებში 2019 წელს მცენარეთა დაცვისა და სხვა აგროპროექტების დაგეგმარებისა და განხორციელების მიზნით მიმდინარეობდა მოძიებული სასოფლო-სამეურნეო დარგში არსებული ნმდგომარეობის შესწავლა, არსებული სტატისტიკური ან სხვა სახის მონაცემთა შეფასება-გაანალიზება;
- განხორციელდა USAID/ZRDA-თან თანამშრომლობით სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ჩამოყალიბებული მცირე და საშუალო სათათბურე მეურნეობების

მდგომარეობის შესწავლა. ამჟამად აღნიშნულ სათბურებში დათესილია და ბენეფიციართა 14 ოჯახს მოჰყავს მწვანილი, სალათის ფურცლები, კიტრი და პომიდორი;

- შემუშავდა ბროშურა ,,ჰერბიციდების გამოყენების როლი მეფუტკრეობაში";
- კვალიფიციური დახმარება გაეწია 12 დევნილს და მოხერხდა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებში მათი პროექტების ჩაბარება;
- დაიწყო მუშაობა საინფორმაციო გზამკვლევზე ,,საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები", სადც განთავსდება ის ორგანიზაციები, რომლებიც დააფინანსებენ სასოფლო-სამეურნეო დარგის საქმიანობით დაინტერესებულ პოტენციურ ბენეფიციარებს.

წარმატებით აგრძელებდა ფუნქციონირებას დეპარტამენტის ინიციატივით და მხარდაჭერით ჩამოყალიბებული აფხაზეთიდან დევნილ მეფუტკრეთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „კოდორი-2015". მათ მიერ წარმოებული პროდუქცია წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა გამოფენებზე.

გარდა ამისა, დეპარტამეტის სპეციალისტები მეცნიერთა ჯგუფთან ერთად მონაწილეობდნენ სამეცნიერო საქმიანობაში სასოფლო-სამეურნეო მავნებლებთან ბრძოლის ალტერნატიული მეთოდებისა და ტექნოლოგიის შესამუშავებლად.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მუდმივად ტარდება დაკვირვებები და მონიტორინგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების საკარანტინო და რაიონში არსებული სხვადასხვა მავნებლის დაავადებების, სარეველების ფიტოსანიტარული მდგომარეობის დადგენაზე, მავნებლის არეალის გავრცელებაზე. მოსახლეობას სისტემატურად ეძლევა რეკომენდაციები და მითითებები მავნებლებთან ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების გასატარებლად. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა პრეპარატების ასორტიმენტზე და პესტიციდების საორიენტაციო წლიურ მოთხოვნაზე. გალის რაიონის მოსახლეობას დაურიგდა თემატური სახელმძღვანელოები და ბროშურები. ამავე თემას მიეძღვნა ქ. ზუგდიდში ჩატარებული კონფერენცია, რომლის ძირითადი დანიშნულება იყო კომპლექსურ ღონისძიებათა შორის მავნებლებთან ბრძოლის არსებული მეთოდების ეფექტურად გამოყენების აუცილებელი პრაქტიკული, სარეკომენდაციო წინადადებების შემუშავება და მოსახლეობისათვის მიწოდება. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლებმა, აგრეთვე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში და ოკუპირებულ გალის რაიონში მცხოვრებმა დევნილებმა. სხვა საკითხებთან ერთად განხილულ იქნა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ,,აზიური ფაროსანას" წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მოსალოდნელი რისკები და მათი მინიმიზაციის გზები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი გალის რაიონში არსებულ მცენარეთა ფიტოსანიტარული მდგომარეობის შესახებ. შემუშავდა მეთოდები, რომელთა გატარებამ უნდა შეამციროს მავნებლების პოპულაცია.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ პროგრამის განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის გამოყოფილი 4320 ლიტრი ქიმიური პრეპარატი დასაწყობდა გულრიფშის რაიონში, 12960 ლიტრი - გალის რაიონის სოფ. მზიურში და 2720 ლიტრი - ქ. ზუგდიდში.

ბოლო წლებში დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რეგიონებში, მათ შორის გალის რაიონის სოფლებში, ფართოდ გავრცელდა თხილისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების ისეთი დაავადებები, როგორიცაა თხილის ნაცარი, ფომოფსისი, ნაცრისფერი სიდამპლე, ჭრაქი, ნაყოფის სიდამპლე, ფოთლის ლაქიანობა. საანგარიშო წელს, ოკუპირებული გალის ტერიტორიაზე ერთჯერადად შეიწამლა მრავალწლიანი თხილის ფართობები 7 050 ჰექტრამდე, რაზედაც გაიხარჯა 4 190 ლიტრი პრეპარატი.

საანგარიშო პერიოდში ტარდებოდა ტერიტორიის დასუფთავებისა და გამწვანების სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის მერიის მიერ 2014 წელს სარგებლობაში გადმოცემული 7 ჰა მიწის ფართიდან 3 ჰა-ზე დარგული ნერგებიდან იხარა მხოლოდ თეთრი აკაციის ნერგებმა, რაც განპირობებული იყო, ქართველი და უცხოელი სპეციალისტების აზრით, ნაგავსაყრელზე გამონაბოლქვი გაზების მიერ ნიადაგისა და ჰაერის დაბინძურებით. სპეციალისტების აზრით, ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს ე.წ. „სარკოფაგი“, ანუ მყარი საფარი ქვიშა-ღორღისგან, რაც საჭიროებს სათანადო ლანდშაფტური პროექტის შექმნას. აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდა და გადაეცა შესათანხმებლად ქ. თბილისის მერიას.

გრძელდებოდა კრწანისის რიონში (ქ. თბილისის მერიის მიერ სარგებლობის უფლებით გადაცემულ 15.000 კვ.მ ტერიტორიის ფართობზე) ინფრასტრუქტული პროექტის განხორციელება. ტერიტორიაზე შემოტანილი იყო 600 $მ^3$ მიწა, ხოლო ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხიდან ჩამოტანილ იქნა კოლხური ბზის ნერგები. სრულყოფილი საბაზისო სანერგე მეურნეობის შექმნის მიზნით აშენდა მსუბუქი კონსტრუქციის შენობა. ამჟამად მიმდინარეობს დასრულებითი სამუშაოები წყალ-კანალიზაციისა და ელ.გაყვანილობის კუთხით.

გარემოს დაცვის სამმართველოს თანამშრომლები ჩართულნი იყვნენ სახელმწიფო და საერთაშორისო გარემოსდაცვითი და სატყეო დარგის პროექტებსა და საგრანტო პროგრამებში. ატარებდნენ შემეცნებით ტრენინგ-სემინარებს. მომზადდა საინფორმაციო ბროშურა აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე ,,რა უნდა ვიცოდეთ აზიური ფაროსანას შესახებ“.

გარდა ამისა, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი ინიციატივა COBERM-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ,,ნდობის აღდგენის ღონისძიებების ხელშეწყობა გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში ახალგაზრდა თაობის ჩართულობით“ ფარგლებში ასოციაციამ ,,აგორა“ გამართა დასკვნითი ღონისძიება

მრგვალი მაგიდა თემაზე ,,ნდობის აღდგენის ღონისძიებების ხელშეწყობა გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში ახალგაზრდა თობის ჩართულობით“.

ასევე, გარემოს სამმართველოს თანამშრომლები მონაწილეობდნენ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით გამართულ დისკუსიაში ,,ჰაერის დაცვის პოლიტიკის“ შესახებ.

სახელმწიფო ქონების მართვა და პრივატიზება

სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის დეპარტამენტი საანგარიშო პერიოდში განკარგავდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილ უძრავ და მოძრავ ქონებას, კერძოდ:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გადმოეცა:

მოძრავი ქონება

- საქართველოს პარლამენტის მიერ:
  - ➢ ავტომანქანა ,,ფოლკსვაგენ პასატი“ სახ. ნომრით LUK-737, 2009 წლის გამოშვება, სარეგისტრაციო მოწმობის ნომრით WVWZZZ3CZAP016899, საწყისი საბალანსო ღირებულებით 45 461,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
  - ➢ ავტომანქანა ,,ფოლკსვაგენ პასატი“ სახ. ნომრით TSP-041, 2009 წლის გამოშვება, სარეგისტრაციო მოწმობის ნომრით WVWZZZ3CZAP016823, საწყისი საბალანსო ღირებულებით 45 461,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ:
  - ➢ ,,SKODA OCTAVIA” სახ. ნომრით KCK-087, საიდენტიფიკაციო ნომრით TMBAD4NE3E0082768, მასზე დამონტაჟებული 1 ცალი აკუმულატორით (75 ამპ/სთ) და 4 ცალი ზამთრის სეზონის საბურავით, ასევე ექსპლუატაციაში ნამყოფი 4 ცალი ზაფხულის სეზონის საბურავით, საწყისი საბალანსო ღირებულებით 26 000,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
  - ➢ ,,SKODA OCTAVIA” სახ. ნომრით CJC-568, საიდენტიფიკაციო ნომრით TMBCK21ZXC2137214, მასზე დამონტაჟებული 1 ცალი აკუმულატორით (66 ამპ/სთ) და 4 ცალი ზამთრის სეზონის საბურავით, ასევე ექსპლუატაციაში ნამყოფი 4 ცალი ყველა სეზონის საბურავით, საწყისი საბალანსო ღირებულებით 12 500,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
- სსიპ სულიერებისა და კულტურის ცენტრის მიერ - ავტომანქანა ,,მერსედეს ბენცი“ E-200, გამოშვების წელი 1995წ., სახ. ნომრით IG-041-GI, 2009 წლის გამოშვება,

საიდენტიფიკაციო ნომრით WDB2100351A070598, საწყისი საბალანსო ღირებულებით 3 607,12 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 2 395,13 ლარი;

- აფახაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ - ავტომანქანა ,,MERCEDES-BENZ C240“ სახ. ნომრით IIW-454, 2004 წლის გამოშვება, 1 სათადარიგო და 2 მეორადი საბურავით, საწყისი საბალანსო ღირებულებით 16 000,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 5 289,0 ლარი;
- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის მიერ:
    - ერთჯერადი კომბინიზონი - 300 ცალი ჯამური ღირებულებით 3 567,0 ლარი;
    - ხელთათმანი - 200 წყვილი ჯამური ღირებულებით 482,0 ლარი;
    - რესპირატორი - 100 ცალი ჯამური ღირებულებით 5 710,0 ლარი;
    - დამცავი სათვალე - 100 ცალი ჯამური ღირებულებით 705,0 ლარი;
    - ბიფეტრინის შემცველი პრეპარატი ,,ინსაკარი - 100 ეკ“ – 11 360 ლიტრი საერთო ღირებულებით სულ 358 521,6 ლარი;
    - ბიფეტრინის შემცველი პრეპარატი ,,ინსაკარი - 100 ეკ“ – 4 320 ლიტრი საერთო ღირებულებით სულ 136 339,2 ლარი;
    - ფერომონი - 500 ცალი საერთო ღირებულებით სულ 29 500,0 ლარი;
    - სოლო port 423 – 20 ცალი საერთო ღირებულებით 22 851,2 ლარი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოსა დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის მიერ - ავტომანქანა ,,HONDA CR-V“ სახ. ნომრით JSJ-101, სარეგისტრაციო ნომრით JHLRD18711S003565, 2000 წლის გამოშვება, საწყისი საბალანსო ღირებულებით 13 535,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 3 377,08 ლარი;
- იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ - ავტომანქანა ,,MITSUBISHI OUTLANDER“, სახ. ნომრით SSA-619, 2003 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით JA4LZ31G73U116819, საწყისი საბალანსო ღირებულებით 13 000,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 999,8 ლარი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიერ - ავტომანქანა ,,TOYOTA-4” RUNER სახელმწიფო ნომრით SKY-183, რუხი ფერის, 2002 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით JT3HN86R820381743, საწყისი საბალანსო ღირებულებით 32 900,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ - ავტომანქანა ,,TOYOTA LAND CRUSER 100VX“, სახ. ნომრით AW819AW, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო № JTEHT05J3122008199;

- ნდობის აღგენისა და შერიგების საკითებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის მიერ - ავტომანქანა ,,Opel Vectra B“, სახ. ნომრით MIV-995, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის № AV3138393, 1999 წლის გამოშვება, საწყისი საბალანსო ღირებულებით 8 350,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
- აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ - ავტომანქანა ,,MERSEDES BENZ“, სახ. ნომრით KK237KT, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის № AM0990715, 1995 წლის გამოშვება, საწყისი საბალანსო ღირებულებით 13 189,98 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
- ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ - ავტომანქანა ,,NISSAN X TERRA“, სახ. ნომრით VOO898, 2002 წლის გამოშვება, საწყისი საბალანსო ღირებულებით 21 840,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი, მანქანაზე დამონტაჟებული 4 ახალი საბურავით;
- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის მიერ - 10 000 ლიტრი ბიფეტრინის შემცველი პრეპარატი საერთო ღირებულებით 315 600 ლარი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გადაეცა:

მოძრავი ქონება

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტს - ავტომანქანა ,,ფოლკსვაგენ პასატი“ სახ. ნომრით TSP-041, 2009 წლის გამოშვება, სარეგისტრაციო მოწმობის ნომრით WVWZZZ3CZAP016823, საწყისი საბალანსო ღირებულებით 45 461,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს - ,,SKODA OCTAVIA” სახ. ნომრით CJC-568, საიდენტიფიკაციო ნომრით TMBCK21ZXC2137214, მასზე დამონტაჟებული 1 ცალი აკუმულატორით (66 ამპ/სთ) და 4 ცალი ზამთრის სეზონის საბურავით, ასევე ექსპლუატაციაში ნამყოფი 4 ცალი ყველა სეზონის საბურავით, საწყისი საბალანსო ღირებულებით 12 500,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
- აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობას - ავტომანქანა HONDA CR-V“, სახ. ნომრით JSJ-101, 2000 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით JHLRD18711S003565, საწყისი საბალანსო ღირებულებით 13 535,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 3 377,08 ლარი;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოსა დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტს:
  - ,,მიცუბიში პაჯერო“, სახელმწიფო ნომრით LR-903-RR, გამოშვების წელი 2007, საიდენტიფიკაციო ნომრით JMYLRV93W7J715457, საწყისი საბალანსო ღირებულებით 51 270,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
  - ბიფეტრინის შემცველი პრეპარატი ,,ინსაკარი - 100 ეკ“ – 4 320 ლიტრი საერთო ღირებულებით სულ 136 339,2 ლარი;
  - სოლო port 423 – 20 ცალი საერთო ღირებულებით 22 851,2 ლარი;
  - ბიფეტრინის შემცველი პრეპარატი ,,ინსაკარი - 100 ეკ“ – 11 360 ლიტრი საერთო ღირებულებით სულ 358 521,6 ლარი;
  - ფერომონი - 500 ცალი საერთო ღირებულებით სულ 29 500,0 ლარი;
  - ერთჯერადი კომბინიზონი - 300 ცალი ჯამური ღირებულებით 3 567,0 ლარი;
  - ხელთათმანი - 200 წყვილი ჯამური ღირებულებით 482,0 ლარი;
  - რესპირატორი - 100 ცალი ჯამური ღირებულებით 5 710,0 ლარი;
  - დამცავი სათვალე - 100 ცალი ჯამური ღირებულებით 705,0 ლარი;
  - 10 000 ლიტრი ბიფეტრინის შემცველი პრეპარატი საერთო ღირებულებით 315 600 ლარი;
- იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობას - ავტომანქანა ,,ფოლკსვაგენ პასატი“ სახ. ნომრით LUK-737, 2009 წლის გამოშვება, სარეგისტრაციო მოწმობის ნომრით WVWZZZ3CZAP016899, საწყისი საბალანსო ღირებულებით 45 461,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
- შპს ,,ავტოტრანსსერვისს“ - ავტომანქანა ,,მერსედეს ბენცი“ E-200, გამოშვების წელი 1995წ., სახ. ნომრით IG-041-GI, 2009 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით WDB2100351A070598, საწყისი საბალანსო ღირებულებით 3 607,12 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 2 395,13 ლარი.

სხვა სამუშაოები:

- დეპარტამენტი ახორციელებდა სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვას, მათი ხელშეწყობის მიზნით წლიური და კვარტალური ანგარიშების ანალიზისა და ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას საწარმოების მიერ მოთხოვნილი (რეინვესტირებული) თანხის მიზნობრივ გამოყენებაზე;

- შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა საწარმოთა 2018 წლის I კვარტლის, 6 თვისა და 9 თვის ფინანსური ანგარიშები;

- შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა (კორექტირებული, რეალური შემოსავლების გათვალისწინებით) საწარმოების 2018 წლის ბიზნეს გეგმები;
- 2018 წელს დეპარტამენტის მიერ მომზადებულ იქნა სააუქციონო წინადადებები სამინისტროზე შემდგომი განკარგვის მიზნით გადმოცემულ 3 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომლებიც გაყიდულ იქნა საჯარო ელექტრონულ აუქციონზე. აღნიშნული აუქციონიდან ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 24 410 ლარი;
- დეპარტამენტი ჩართული იყო სამინისტროში შექმნილი კომისიების მუშაობაში, კერძოდ, დეპარტამენტის სამი თანამშრომელი ჩართული იყო საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობაში და უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას ინვენტარიზაციის პროცესში. ასევე ჩართული იყვნენ ამორტიზირებული და წარმოებისათვის გამოუსადეგარი მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა-განდგურების კომისიის მუშაობაში;
- დეპარტამენტი მონაწილეობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 100%-იანი წილით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომებში, კომისიას წარუდგენდა შპს-ების საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და რეკომენდაციებს.

გეოლოგია

აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტოს მიერ საანგარიშო პერიოდში გაკეთდა:

- აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული მტკნარი, თერმული და მინერალური წყლების გეოლოგიურ-მინერაგენიული დახასიათება, მათი ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრა. ამჟამად არსებული სიტუაციის შეფასება (მონიტორინგი);
- გაგრის რაიონის მტკნარი თერმული და მინერალური წყლების ელექტრონული გეოინფორმაციული პაკეტების შექმნა;
- გუდაუთის რაიონის მტკნარი თერმული და მინერალური წყლების ელექტრონული გეოინფორმაციული პაკეტების შექმნა;
- დაბა წყნეთში დევნილთა კომპაქტურ ჩასახლების ადგილებში საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების მონიტორინგი და პრევენცია. გარდა ამისა, წყნეთში 2015 წლის 13-14 ივნისს განვითარებული საშიში გეოლოგიური პროცესების ვიზუალური შეფასება, სადაც გაიცა რეკომენდაციები ჩასატარებელ პრევენციულ ღონისძიებებზე.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში სახელმწიფომ განახორციელა ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი, რამაც ხელი შეუწყო ადგილმდებარეობის გეოდინამიკური მდგრადობის განმტკიცებას და განაპირობა იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის ბევრად უფრო უსაფრთხო გარემოს შექმნა;

- ჩატარდა კონფერენცია თემაზე ,,აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის გეოეკოლოგიური მდგომარეობა და მასზე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგების ანალიზი“, სადაც ასახულ იქნა ინფორმაცია აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზონის დარღვეული მორფო-დინამიკური წონასწორობის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის უნიკალურ ეკოსისტემას. სააგენტოს ამოცანას წარმოადგენდა საერთაშორისო სუბიექტების მოზიდვა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგიის შემუშავებაში. საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით უზრუნველყოფილ უნდა იქნას აფხაზური და ქართული საზოგადოების აქტიური ჩართვა ამ პრობლემური საკითხების ერთობლივად გადაჭრის საქმეში. უნდა გაძლიერდეს მონიტორინგი სანაპიროზე მიმდინარე მორფო და ლითონდინამიკურ პროცესებზე ყველა არსებული მეთოდებით. აღნიშნული კონფერენციის მასალები გამოცემულ იქნა ბუკლეტების სახით.

გარდა ამისა, სისტემატურად ხორციელდებოდა:

- საინფორმაციო და სხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მინერალური რესურსების უკანონო მოპოვება-გატანის შესახებ;
- აფხაზეთის სანაპირო ზოლის ლითონდინამიკური მდგომარეობის მონიტორინგი თანამედროვე დისტანციური მეთოდებით;
- აფხაზეთში მიმდინარე გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, გეოეკოლოგიურ სიტუაციებზე დაკვირვება.

საქვეუწყებო დაწესებულება – ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი

დეპარტამენტის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კომპაქტურად ჩასახლებული იგპ-ების საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების საინჟინრო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი, საჭირო სარემონტო სამუშაოების მოცულობის დადგენა და შესაბამისი დეფექტური აქტების, ტექნიკური დოკუმენტაციების შედგენა.

აღნიშნულ პერიოდში, აფხაზეთის მთავრობის დავალების თანახმად, შემუშავებულ და წარმოდგენილ იქნა კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად გადაუდებელი სამუშაოების საორიენტაციო

ღირებულებები რეგიონების მიხედვით. დადგენილ იქნა 87 ობიექტი, რომელიც მოითხოვს გადაუდებელი სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის თანამშრომლები მივლინებულ იყვნენ ქუთაისში, სადაც ,,სოხუმხელსაწყოს“ ტერიტორიაზე ჩატარდა აზომვითი სამუშაოები, გადაღებულ იქნა ფოტომასალა არქიტექტურული პანოს შესამუშავებლად და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის გასაკეთებლად, რაც საფუძველს დაუდებს ქართულ-აფხაზური კულტურის ცენტრის მშენებლობას.

გარდა ამისა, შემუშავდა:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დრამატული თეატრის რეკონსტრუქციის ორი ვარიანტი - 460 და 170 ათასიანი ლარის ღირებულების. დამუშავდა ტექნიკური დოკუმენტაცია ტენდერის გამოსაცხადებლად 170 ათ. ლარიან პროექტზე;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შენობის სარდაფის პატარა დარბაზის სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროექტი, დეფექტური აქტი და ლოკალური ხარჯთაღრიცხვა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 22 835 ლარი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში წარმომადგენლობის ოფისი მშენებლობის პროექტის მე-2 ვარიანტი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 250 460 ლარი;
- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითებში მინისტრის აპარატის ოფისის პროექტი (გასარემონტებელი ფართი 260 $მ^2$), რომლის ღირებულებამ შეადგინა 61 742 ლარი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის კუთვნილებაში არსებული სარდაფის რეკონსტრუქცია საორიენტაციო ღირებულებით 23 000 ლარი;
- ზედა ეწერის აფხაზეთის მე-15 სკოლის სპორტული დარბაზის რეკონსტრუქციის ხარჯთაღრიცხვა (151 208 ლარი) და ცალკე სახურავის რემონტის ხარჯთაღრიცხვა (34 442 ლარი);
- ქ. ზუგდიდში, გამსახურდიას II შესახვევში საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა 90 ბავშვზე (ღირებულება - 580 000 ლარი);
- აღმოსავლეთ საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად ჩასახლებული კორპუსების (18 ობიექტი) მცირე სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა (ღირებულება - 12 718 ლარი).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ბალანსზე არსებული სახლმწიფო დრამატული თეატრის დარბაზის საკონსტრუქციო

სამუშაოების სრულყოფილად ჩატარებისა და გამოყოფილი თანხის დროული და ეფექტური ათვისების მონიტორინგის მიზნით სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე ხორციელდებოდა საზედამხედველო კონტროლი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებმა 2018 წელს შეადგინა სულ 15 488,38 ათასი ლარი, რაც გეგმის (14 940,30 ათასი ლარი) 103,67%-ია.

გადასახადების სახეების მიხედვით ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა:

- საშემოსავლო გადასახადი – 6 959,91 ათასი ლარი. გეგმა (6 600,0 ათასი ლარი) შესრულდა 105,45 %;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი – 8 040,30 ათასი ლარი. გეგმა (8 040,30 ათასი ლარი) შესრულდა 100%-ით;
- სხვა შემოსავლები – 472,31 ათასი ლარი, რამაც გეგმის (300,0 ათასი ლარი) 157,44% შეადგინა.

ბიუჯეტის შევსების მთავარი წყაროებია ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი, რომელთა ხვედრითი წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში 51,9 და 44,9 პროცენტს შეადგენს შესაბამისად. აღნიშნული შემოსავლები ჯამში საერთო შემოსავლების 96,8 პროცენტია, ანუ დანარჩენ შემოსავლებზე მოდის მხოლოდ 3,2 პროცენტი.

დიაგრამა №7: რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2018 წ.



დიაგრამა №8: რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2018-2017 წ.წ.



ცხრილი №2: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შედეგები 2018 წელს

ათასი ლარი

	გეგმა	ფაქტი	გეგმის შესრ.%	გეგმასთან შედ.+/-	ხვ. წილი % გადასახდ.-თან
გადასახდელები – სულ მ.შ.	**15427.0**	**15160.9**	**98.3**	**-266.1**	**100.0**
შრომის ანაზღაურება	7363.7	7310.2	99.3	-53.5	48.2
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღ.	1166.3	1120.6	96.1	-45.8	7.4
მივლინებები	240.4	232.4	96.7	-8.0	1.5
ოფისის ხარჯები	856.4	816.9	95.4	-39.6	5.4
სამედიცინო ხარჯები	0.30	0.28	93.3	-0.02	
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკ. ხარჯები	4.2	3.56	84.6	-0.65	
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	465.3	447.0	96.1	-18.3	2.9
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	212.0	199.9	94.3	-12.1	1.3
სუბსიდია	2791.8	2775.0	99.4	-16.7	18.3
გრანტები	46.22	43.08	93.2	-3.1	0.3
სოციალური უზრუნველყოფა	1334.0	1324.4	99.3	-9.5	8.7
სხვა ხარჯები	422.1	402.6	95.4	-19.4	2.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	378.8	348.6	92.0	-30.3	2.3
შრომის ანაზღაურება	7363.7	7310.2	99.3	-53.5	48.2
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღ.	1166.3	1120.6	96.1	-45.8	7.4

დიაგრამა № 9: შემოსულობებისა და გადასახდელების შედარება 2018-2017 წ.წ.